პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 278 (11584)
შაბათი
28
ნოემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-გვინეის კომუნიკეს

კრემლის დიდ სასახლეში 26 ნოემბერს ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-გვინეის ერთობლივ კომუნიკეს.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ფ. რ. კოზლოვმა და გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და მთავრობის თავმჯდომარემ სეკუ ტურემ.

დოკუმენტის ხელმოწერას დაესწრნენ ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ორგანოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, ნ. ა. მიხაილოვი, ნ. ს. პატოლიჩევი და სხვები.

გვინეის მხრივ იყვნენ ეროვნული კრების თავმჯდომარე საიფულაი დიალო, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრი კეიტა ფოდება, გვინეის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში სეიდუ კონტე.

პრეზიდენტმა სეკუ ტურემ დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ მეგობრულად ჩამოართვა ხელი საბჭოთა ხელმძღვანელებს.

საბჭოთა კავშირ-გვინეის კომუნიკეს ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა და უცხოეთის პრესის, რადიოს, ტელევიზიისა და კინოქრონიკის წარმომადგენლები. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-გვინეის ერთობლივი კომუნიკე

ამა წლის 19-27 ნოემბერს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე სეკუ ტურე.

გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთავრობის თავმჯდომარეს სსრ კავშირში მოგზაურობის დროს ახლდნენ: გვინეის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარე საიფულაი დიალო, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრი ფოდება კეიტა, გვინეის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში სეიდუ კონტე.

გარდა მოსკოვისა საპატიო სტუმარი და მისი თანმხლები გვინეის სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ ქალაქ ლენინგრადში, ქალაქ თბილისსა და შავი ზღვის კურორტ გაგრაში.

კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ყოფნის დროს გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. ნ. ს. ხრუშჩოვსა და სეკუ ტურეს შორის გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი და მოხდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-გვინეის ურთიერთობის საკითხებზე და მთელ რიგ აქტიურ საერთაშორისო პრობლემებზე.

მოსკოვში გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტთან და მთავრობის თავმჯდომარესთან ოფიციალურ შეხვედრებსა და საუბრებში მონაწილეობდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პირველი მოადგილე ფ. რ. კოზლოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

მხარეებმა აღიარეს, რომ არსებული საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და ყველა სახელმწიფოს შორის მეგობრობისა და ნდობის ატმოსფეროს შექმნის მიზნით საჭიროა რაც შეიძლება მალე გადაიჭრას განიარაღების პრობლემა და დაუყოვნებლივ მიღწეულ იქნას ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტა. ამასთან დაკავშირებით პრეზიდენტმა სეკუ ტურემ განაცხადა, რომ გვინეის რესპუბლიკის მთავრობა დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და მშვიდობის განმტკიცება, რაც განუყოფელია ხალხთა დამოუკიდებლობის უთუო უფლებისა და იმ ფაქტორებისაგან, რომლებიც ხელს უწყობენ ხაერთაშორისო თანამშრომლობას.

გვინეის რესპუბლიკის მთავრობა საერთაშორისო ურთიერთობაში ნამდვილი ნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს დამყარების საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ამასწინანდელ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალ ვიზიტს სსრ კავშირში. პრეზიდენტმა სეკუ ტურემ აგრეთვე განაცხადა, რომ გვინეის რესპუბლიკის მთავრობა საკმაოდ უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის წინადადებებს საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომლებიც შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-14 სესიის განსახილველად, და გამოთქვა სურვილი, რომ სახსრები, რომლებიც განთავისუფლდება განიარაღებასთან დაკავშირებით, მოხმარდეს კონსტრუქციულ მიზნებს და, კერძოდ, სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებას.

თავის მხრივ საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი სრული გაგებით ეკიდება გვინეის რესპუბლიკის მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს პოზიტიური ნეიტრალიტეტის პრინციპები.

საუბრების დროს გამოითქვა აგრეთვე ერთსულოვანი აზრი, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სამარცხვინო კოლონიური სისტემის ლიკვიდაცია და რომ აფრიკის ხალხები, ისევე როგორც სხვა კონტინენტების ხალხები, დაუბრკოლებლად უნდა სარგებლობდნენ ეროვნული დამოუკიდებლობის უფლებით.

გამართული მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა აღნიშნეს, რომ წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირ-გვინეის მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთ პატივისცემის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპები.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათ შორის ადრე დადებული შეთანხმება საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ და შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ ხელს უწყობდნენ ნაყოფიერ ეკონომიურ თანამშრომლობას ორივე ქვეყანას შორის.

აღფრთოვანებულნი მისწრაფებით, რომ შემდგომ განვითარდეს ორივე სახელმწიფოს კულტურული ურთიერთობა, მხარეებმა დადეს შეთანხმება კულტურული თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გვინეის რესპუბლიკას შორის.

ფ. კოზლოვი
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

სეკუ ტურე
გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე

მოსკოვი, 1959 წლის 26 ნოემბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვში დაბრუნდა

27 ნოემბერს კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე ხანმოკლე დასვენების შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს დაბრუნდა.

ვნუკოვოს აეროდრომიდან კრემლის ივანეს მოედანზე ნ. ს. ხრუშჩოვი მიფრინდა ვერტმფრინავით „მი—4“. ფრენა წარმოებდა 200 მეტრის სიმაღლეზე და გაგრძელდა 10 წუთს. ნ. ს. ხრუშჩოვთან ერთად ვერტმფრინავში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. დემენტიევი და ვერტმფრინავთა მთავარი კონსტრუქტორი მ. ლ. მილი.

კრემლში ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი.

ფრენის დამთავრების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილად გადაუხადა მადლობა კონსტრუქტორ მ. ლ. მილს და პილოტ მ. ვ. ლეშინს.

კორესპონდენტების იმ შეკითხვებზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ფრენა, უფრო მოხერხებულია თუ არა ჩვენი ვერტმფრინავი იმასთან შედარებით, რომლითაც ფრენა მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა, ფრენა ძალიან კარგად მიმდინარეობდაო. „მე ვერც კი შევამჩნიე, თქვა მან ღიმილით, — როგორ აღმოვჩნდი მოსკოვში. ყველაფერი, რა თქმა უნდა, შეჩვევაზეა, მაგრამ ისე მეჩვენა, რომ ჩვენი ვერტმფრინავის კაბინა უფრო ვრცელი და უფრო მოხერხებულია, ვიდრე ამერიკის ვერტმფრინავისა. ხმაური კი ვერტმფრინავში მეტი კი არა, თითქოს ნაკლებიცაა. ერთი სიტყვით, ეს კარგი და მოხერხებული მანქანაა“.

შემხვედრმა ამხანაგებმა ხუმრობით მიულოცეს ნ. ს. ხრუშჩოვს ახალი ტრასისა და ახალი აეროდრომის გახსნა.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლებში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 144 და 145 მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შეფარდების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 30 მაისის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 47-ე მუხლის შეფარდების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

კ ა ნ ო ნ ი

„საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ა. მ. ცინცაძისა და ამხ. ნ. რ. აკაბას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად ამხ. ალექსანდრე მიხეილის-ძე ცინცაძე და ამხ. ნური რეჯაბის-ძე აკაბა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

ამხ. ფ. ა. აბუხბას და ამხ. ა. მ. ღლონტის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდნენ ამხ. ფირატ ასლანის-ძე აბუხბა და ამხ. ამბროსი მაქსიმეს-ძე ღლონტი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1959 წლის 7 ივლისისა — ამხ. არჩილ ალექსანდრეს-ძე გიგოშვილის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1959 წლის 22 სექტემბრისა — ამხ. გიორგი სამსონის-ძე ქობულიას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ ზოგიერთი მინისტრის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1959 წლის 7 ივლისისა — ამხ. მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძის საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;

1959 წლის 10 სექტემბრისა — ამხ. ილია ნიკიფორეს-ძე ლაღიძის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ამხ. კ. ს. ციმაკურიძის განთავისუფლების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ამხ. კონდრატე სოკრატის-ძე ციმაკურიძის განთავისუფლების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნ. ე. ჭაბრაკიას დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. ნიკოლოზ ერმილეს-ძე ჭაბრაკიას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 26 ნოემბერი, 1959 წ.

მეგობრობის მიტინგი

26 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში მოსკოველები შეხვდნენ გვინეის რესპუბლიკის გამოჩენილ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს — პრეზიდენტს და მთავრობის თავმჯდომარეს სეკუ ტურეს, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით.

კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ მოსკოვის ქარხნების, ფაბრიკებისა და ახალშენებათა მოწინავენი, მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დამსწრეთა შორის არიან მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა არმიის მეომრები, აფრიკის ქვეყნების მოსწავლე ახალგაზრდობა. ლოჟებში არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

სასახლეში გაისმის მქუხარე ტაში, როცა პრეზიდიუმში შემოდიან გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ს. პოლიანსკი, აგრეთვე გვინეელი სპპატიო სტუმრის თანამგზავრები.

მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა. საზეიმოდ ეღერს გვინეისა და სსრ კავშირის ჰიმნები.

მისალმების გულშიჩამწვდომი სიტყვებით მიმართა სტუმრებს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეხაგმა ამხ. ლ. ი. კურკინმა. დედაქალაქის ყველა მშრომელთა სახელით იგი ეუბნება სტუმრებს, რომ საბჭოთა ხალხს უაღრესად მხურვალე სიმპათია და თანაგრძნობა ყოველთვის იყო და იქნება აფრიკის ხალხთა მხარეზე, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

აფრიკის ხალხების ცხოვრების წესისა და კულტურის ისტორიისადმი საბჭოთა ხალხის დიდ პატივისცემასა და ინტერესებზე ილაპარაკა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აფრიკის ხალხებთან მეგობრობის საბჭოთა ასოციაციის თავმჯდომარემ პროფესორმა ი. ი. პოტეხინმა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ფ. რ. კოზლოვს, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, ამბობს იგი, რომ გამოვხატოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის გრძნობები გვინეის რესპუბლიკის ხალხისადმი. სსრ კავშირში მოგზაურობის დროს გვინეელ სტუმრებს შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, თუ რა მხურვალე სიმპათიით ეკიდებიან საბჭოთა ადამიანები აფრიკის ხალხებს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი სტუმრების მოგზაურობაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, განაგრძო ფ. რ. კოზლოვმა, მათი შეხვედრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ს. ხრუშჩოვთან. გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტის გულითადი საუბრები საბჭოთა მთავრობის მეთაურთან, უეჭველია, თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს გვინეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებაში.

ჩვენ განსაკუთრებით მოხარული ვართ, განაგრძობს ორატორი, მივესალმოთ საბჭოთა მიწაწყალზე თანამედროვე აფრიკის ერთ-ერთ გამოჩენილ პოლიტიკურ ლიდერს — პრეზიდენტ სეკუ ტურეს. მისმა მუშაობამ პროფკავშირებში აფრიკის მშრომელთა გასაერთიანებლად, მისმა ხელმძღვანელობამ გვინეის დემოკრატიული პარტიისადმი, მისმა როლმა კოლონიალიზმის წინააღმდეგ ხალხის მასების ბრძოლაში ფართო აღიარება ჰპოვა.

აღნიშნა რა, რომ ჩვენ იმის მოწმენი ვართ, თუ როგორ ინგრევა საბოლოოდ კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს ძალმომრეობა და ჩაგვრა, ფ. რ. კოზლოვმა თქვა: „განთავისუფლების დაფინონი უკვე მოეფინა აფრიკას, იგი მის ხალხებს სასიხარულო და მზიან დღეს ჰპირდება“.

სსრ კავშირისა და გვინეის ურთიერთობას, განაგრძო ფ. რ. კოზლოვმა, საფუძვლად უდევს ურთიერთ პატივისცემის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, თავდაუსხმელობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორობისა და ურთიერთ სარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური თანამშრომლობის პრინციპები. საბჭოთა კავშირი აღმოსავლეთის დამოუკიდებელ ქვეყნებს უწევს არა მარტო მორალურ, არამედ აგრეთვე მატერიალურ დახმარებას. ამას მოწმობს, კერძოდ, შეთანხმება ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხანაგმა ფ. რ. კოზლოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირისა და გვინეის მთავრობებს შორის არსებობს სრული ურთიერთგაგება ყველა საკითხში, რომლებიც მათს ინტერესებს ეხება. მაშ კვლავაც განვავითაროთ ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და გვინეის რესპუბლიკას შორის, განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში.

დამსწრენი განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ პრეზიდენტ სეკუ ტურეს გამოსვლას. მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა ადამიანებს მეგობრული მიღებისათვის და აღნიშნა, რომ ეს გულითადი შეხვედრა მოწმობს საბჭოთა კავშირის ხალხების ძმურ პატივისცემას აფრიკის ხალხებისადმი. პრეზიდენტი ამბობს, რომ გვინეამ კოლონიზატორებისაგან ძნიშ მემკვიდრეობა მიიღო და ახლა გვინეის მთავრობა, გვინეის დემოკრატიული პარტია და მთელი ხალხი მუშაობენ ძირეული გარდაქმნების განსახორციელებლად ცხოვრების ყველა დარგში, რათა რაც შეიძლება მალე მოიშუმნონ კოლონიალიზმის წყლულები.

დარწმუნებული ვართ, განაგრძო სეკუ ტურემ, რომ მსოფლიოს ყველა ხალხთან თანამშრომლობის მეოხებით შევძლებთ შევაიარაღოთ ჩვენი ქვეყანა იმ მატერიალური დოვლათის წარმოების თანამედროვე საშუალებებით, რომელიც ესაჭიროება ჩვენს ხალხს. ჩვენ დიდად ვაფასებთ იმ ურთიერთობის მნიშვნელობას, რომელიც გვინეის რესპუბლიკას აქვს მთელ რიგ ქვეყნებთან, მათ შორის თქვენს ქვეყანასთან, რომელიც უდიდეს მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას გვიწევს.

შემდეგ პრეზიდენტი ამბობს, რომ გვინეის დამოუკიდებლობა განუყოფელია აფრიკის ხალხთა დამოუკიდებლობისაგან. ჩვენს რესპუბლიკას, თქვა მან, თავისი თავი მიაჩნია ინსტრუმენტად აფრიკის ყველა ხალხის განთავისუფლების საქმეში. შეეხო რა იმას, რომ თანამედროვე მსოფლიო გაიყო ორ ბანაკად — იმპერიალისტურ და ანტიიმპერიალისტურ ქვეყნებად, სეკუ ტურემ აღნიშნა, რომ აფრიკის ხალხები ანტიიმპერიალისტური ქვეყნების მხარეზე არიან, რომლებმაც თავიანთ პოლიტიკად აირჩიეს მშვიდობა და თავისუფლება ყველა ხალხისათვის. ამასთან დაკავშირებით სეკუ ტურემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აფრიკის კონტინენტის ქვეყნები იწონებენ საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა.

გვინეის სახელმწიფოს მეთაურმა აღუთქვა საბჭოთა ხალხს გვინეელი ხალხის უცვლელი მეგობრული გრძნობები და გამოთქვა რწმენა, რომ მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება. თავისი სიტყვის დასასრულს პრეზიდენტმა სეკუ ტურემ დამსწრეთა ტაშის გრიალში გამარჯვება უსურვა გვინეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

შეკრებილებმა არაერთგზის შეაწყვეტინეს სიტყვები ორატორებს მქუხარე ტაშით. დღევანდელი მიტინგი გადაიქცა ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად, მეგობრობისა, რომლისთვისაც მანძილი არ არსებობს.

(საკდესი).

„გზა მშვიდობისა, გვინეელო მეგობრებო!“

გულითადად გაიცილეს 27 ნოემბერს მოსკოველებმა გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე სეკუ ტურე, რომელიც თავისი თანამგზავრებითურთ პრაღაში წავიდა.

მშრომელთა ასობით წარმომადგენელი შეიკრიბა ვნუკოვოს აეროდრომზე.

სპპატიო სტუმრის გასაცილებლად მოვიდნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. მ. არუშანიანი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ნ. ორგანოვი, სსრ კავშირის მინისტრები და სხვები.

აეროდრომზე მისვლისას გვინეის სახელმწიფოს მეთაურმა სეკუ ტურემ მიიღო სპპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. სუსხიან პაერში გაისმა გვინეის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. სეკუ ტურემ კ. ე. ვოროშილოვთან ერთად ჩამოუარა საბჭოთა მეომრების მწყობრს.

კ. ე. ვოროშილოვმა და სეკუ ტურემ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

გვინეის სახელმწიფოს მეთაური მეგობრულად გამოეშვიდობა გამცილებლებს, მასთან ერთად სპეციალურ თვითმფრინავში „ილ-18“ ადგილი დაიკავეს პრეზიდენტის თანმხლებმა პირებმა.

მოსკოველები ალმების ქნევით თავაზიანად ეშვიდობებიან გაწმორებისას გვინეელ სტუმრებს. რამდენიმე წუთის შემდეგ სპპაერო ლაინერი მაღლა იფრინდა. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

ქამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ მ. ნ. გემიაშვილის სიტყვა

ვალენტინა გაგანოვას პატრიოტულ წამოწყებას ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გორელმა ფეიქრებმა მიბაძეს. მრთველები ელენე გეგელაშვილი და დეშა ხაჩიძე მოწინავე ბრიგადებიდან ჩამორჩენილ ბრიგადებში გადავიდნენ. მათი ენერგიული შრომის შედეგად ეს ბრიგადები მოწინავეებს გაუთანასწორდნენ და ახლა კომუნისტური შრომის ბრიგადების სპატიო და საამაყო სახელის მოსაპოვებლად იბრძვიან.

ამჟამად ჩვენს კომბინატში ვალენტინა გაგანოვას მეთოდით 20 ბრიგადიანი მუშაობს.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მიღწევებით აღფრთოვანებულმა გორელმა ფეიქრებმა შემოქმედებითი მუშაობის ტემპი უფრო გააძლიერეს, 10 თვის საწარმოო გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს და გეგმის გადაჭარბებით 5 მილიონ 900 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. გორელ ფეიქრებს გადაწყვეტილი აქვთ მომდინარე წლის საწარმოო გეგმა 21 დეკემბრისათვის შეასრულონ. წლევანდელი ვალდებულება ასობით ფეიქარმა უკვე გადამეტებით შეასრულა და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს.

ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წლიური გეგმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისათვის შეასრულა. ვალდებულება ვიკისრეთ 1960 წლის პირველი კვარტალის გეგმა შეგასრულოთ საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის გახსნის დღისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! გორელმა ფეიქრებმა დამავალეს ვთხოვო სესიას 1960 წლის ბიუჯეტში გითვალისწინოს ფეიქრებისათვის კლუბის შენებლობის დამთავრება, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა 1958 წელს.

გავიცანი რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე შემოტანილი საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმას, წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს ისინი.

დეპუტატ პ. ი. ჩხოგაძის სიტყვა

ის ფაქტი, რომ ქუთაისის მრეწველობამ 10 თვის დაკალება 104,3 პროცენტით გაანაღდა, იმის მომასწავებელია, რომ წლიური დავალება ვადამდე და გადაჭარბებით იქნება შესრულებული. განველილ 10 თვეში ქალაქის საწარმოებმა ქვეყანას მისცეს 43 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამ საერთო წარმატებებში დიდი როლი შეასრულა იმან, რომ საწარმოებში ფართოდ დაინერგა ვალენტინა გაგანოვას პატრიოტული თაოსნობა. მოწინავე საწარმოთა რიგებში არიან აბრეშუმკომბინატის, ელექტრომექანიკური და მინის ტარის ქარხნების, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, სამკერვალო ფაბრიკის და სხვა კოლექტივები, რომლებმაც დაავალანი დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის ექვსმა საწარმომ ვერ შეასრულა ათი თვის დავალება.

დიდი პერსპექტივებია დასახული ქალაქის ზრდისა და გამშვენიერების საქმეში. ქუთაისის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1965 წლისათვის გასულ წელთან შედარებით 70 პროცენტით გაიზრდება, მარტო ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები შვიდწლედის ბოლოს გამოუშვებენ 85 მილიონი მანეთის პროდუქციას.

მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებენ ქალაქის მოთხოვნილებას საშენ მასალებზე. განსაკუთრებით განვიცდით აგურის ნაკლებობას, რის გამოც გვიფერხდება მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების შენებლობა.

ლაპარაკობს რა ქალაქის კეთილმოწყობის დასახულ სამუშაოებზე, ორატორი მოითხოვს ამ მიზნით დამატებითი თანხების გამოყოფას.

ჩვენს ქალაქს, — ამბობს ამხ. ჩხობაძე, — აქვს კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც მშრომელთა დასვენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. საჭიროა პარკამდე მოეწყოს სპორტ-საბაგირო გზა. საამისოდ შედგენილია სათანადო ხარჯთაღრიცხვა და მშენებლობის დაწყებისათვის მხოლოდ ის გვესაჭიროება, რომ ამ საქმეზე გამოგვეყოს 600 ათასი მანეთი. ქუთაისის მშრომელებისათვის განზრახულია ახალი წყალსადენის მშენებლობის დაწყება გუმათჰესის წყალსაცავის ბაზაზე. მაგრამ მშენებლობის დაწყებამდე საჭიროა ფარცხანაყანევის წყალსადენის სატუმბავი სადგურის რეკონსტრუქცია ისე, რომ მათი წარმადობა 30-35 პროცენტით მაინც გაიზარდოს. ეს ნაწილობრივ გაადვილებდა ქალაქის მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის საქმეს. საჭიროა აგრეთვე ქუთაისში ახალი სასტუმროს აგება.

დეპუტატ ა. დ. გელაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებს შორის გარკვეულ წარმატებებს მიაღწია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა. მან სერიოზული წვლილი შეიტანა ელმავლების მშენებლობის განვითარების საქმეში.

ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივის მუყაითი და ბეჯითი შრომის შედეგად მოხერხდა მოკლე დროში ელმავლების შეკეთებიდან გადავსულიყვნით ძლავრი რეაღერძიანი სამგანზისტოლო ელმავლების სერიულ გამოშვებაზე. ქარხნის კოლექტივი, პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული, გამოვიდა რესპუბლიკაში შვიდწლიანი გეგმის ექვს წელიწადში შესრულების ინიციატორად და იკისრა საპროკენტო სიმძლავრე აითვისოს ვადაზე ორი წლით ადრე, შვიდწლედში კვეყანას მისცეს ასობით ზეგეგმითი ელმავალი.

შვიდწლედის პირველი წლის ათი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 107,8 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 109,5 პროცენტით. შვიდწლედის ფონდში შეტანილია სამი მილიონი მანეთი. ქარხნის კოლექტივს სამჯერ მიეკუთვნა პირველი ადგილი რესპუბლიკის საწარმოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საბჭოს გარდამავალი დროშა.

შემდეგ ორატორი შეეხო საკითხს, თუ როგორ ინერგება ქარხანაში ავტომატიზაცია და მოწინავე ტექნოლოგია, როგორ იზრდება შრომის ნაყოფიერება, მცირდება გამოშვებულ ელმავალთა თვითღირებულება, უმჯობესდება ხარისხი.

—კიდევ უფრო დიდი ამოცანები დგას ჩვენი ქარხნის წინაშე, — განაგრძობს დეპუტატი გელაშვილი, — მომავალ 1960 წელს. საერთოდ ელმავლების გამოშვება 1959 წელთან შედარებით გაიზრდება 1,8-ჯერ. ამისათვის საჭიროა დავამთავროთ დაპროექტება და გამოვუშვათ ერთი საცდელი ცვლადი დენის ოთხღერძიანი ელმავალი, განვახორციელოთ მექანიკური ნაწილის მოდერნიზაცია და ავითვისოთ ელმავალი 68, რომელსაც ამჟამად მივიღებთ ნოვოჩერკასკის ქარხნიდან.

დასასრულ დეპუტატი აყენებს საკითხს, რომ ელმავალმშენებელთა დასახლების რაიონში აშენდეს კულტურის სახლი და კინოთეატრი. ელმავალმშენებელთა კოლექტივის სახელით მან სთხოვა სესიას ეს შენებლობა დაწყებულ იქნას 1960 წელს; ეს ღონისძიება გაუმჯობესებდა როგორც საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა, ისე რაიონის მოსახლეობის კულტურულ მომსახურებას.

დეპუტატ დ. ვ. გოგოხიას სიტყვა

— საბჭოთა ხალხების დიდ ძმურ ოჯახში, — ამბობს დეპუტატი დ. გოგოხია, — თავდადებულად შრომობენ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები. სამრეწველო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა 105 პროცენტით იქნა შესრულებული. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია 7,5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერებამ 7,1 პროცენტით იმატა.

განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს ჩაის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით მისცეს სახელმწიფოს 270 ტონა მაღალხარისხოვანი ქართული ჩაის მზა პროდუქცია.

საქართველოს რესპუბლიკის მეჩაიეების მიერ მოპოვებულ დიდ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზეთის მეჩაიეებმა. 1959 წელს მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 22.700 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 1.000 ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, და 5.570 ტონით მეტი, ვიდრე 1953 წელს. მარტო ერთი წლის განმავლობაში საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 140 კილოგრამით იმატა.

შემდეგ ორატორმა აღნიშნა, თუ რა წარმატებებს მიაღწია აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ თამბაქოს მოსავლის გადიდებისა და ხილისა და ციტრუსების მოყვანის საქმეში.

— ჩვენი კოლმეურნეობების წარმატებებმა, — განაგრძობს დეპუტატი დ. გოგოხია, — სახე შეუცვალა ჩვენს საკოლმეურნეო სოფლებს. ისინი უფრო წარმატაცა, კულტურული და კეთილმოწყობილი გახდნენ. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ საკოლმეურნეო სახსრებით 1958-1959 წლებში აშენდა 14 საავადმყოფო, სკოლა და კულტურის სახლი, ხოლო ამჟამად შენდება 29 სასოფლო კლუბი, 3 საავადმყოფო და 18 სკოლა.

ცხადია, უფრო მეტის გაკეთებაც შეიძლებოდა, უკეთ რომ იყოს მოწესრიგებული კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების საშენი მასალებით უზრუნველყოფის საქმე. ამიტომ ვთხოვ საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ცენკავშირს უფრო მეტად დაგვეხმარონ ცემენტით, ნე-ტყოთა და სხვა საშენი მასალებით მომარაგების საქმეში.

ამას წინათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა, პირადად ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოიწონეს გაგრის რაიონში, ბიჭვინთაში — საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში ახალი საკურორტო რაიონის შექმნის პროექტი, რომლის პრაქტიკული განხორციელება 1960 წლიდან დაიწყება და პირველი რიგის სამუშაოები 1962 წელს დამთავრდება.

ამ ღონისძიების გრანდიოზულობაზე ნათლად მეტყველებს ის, რომ ამ კურორტში ერთდროულად შეეძლება დასვენება 10 ათას კაცს. ეს იქნება ახალი საკურორტო ქალაქი-ბაღი 15-20 ათასი მცხოვრებით.

დასასრულ მინდა ვთხოვო საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩაის ფაბრიკების რეკონსტრუქციისა და სეზონისათვის მზადების საკითხებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის შ. ი. ჟანუაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

შვიდწლედის დიდ დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეაქვთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

საამაყო წარმატებანი მოიპოვეს საქართველოს მეჩაიეებმა. მათ ვადამდე შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და მოკრიფეს 140 ათას ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რითაც პარტიისა და მთავრობის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში სულ უფრო იზრდება საბჭოთა მეურნეობების როლი და მნიშვნელობა. ამჟამად რესპუბლიკაში ჩაის, ციტრუსოვანთა, მევენახეობის, მეხილეობის, ეთერზეთოვანი კულტურების და მეცხოველეობის 134 საბჭოთა მეურნეობაა, აქედან 89 საბჭოთა მეურნეობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შედის.

საგულისხმოა აღინიშნოს, რომ წელს მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მუშაობა მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა. 1 ნოემბრისათვის საბჭოთა მეურნეობებში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული იყო 1.853 კილოგრამი რძე, ანუ გასულ წლთან შედარებით 242 კილოგრამით მეტი.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე ადრე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეორე წლისთავისათვის გადაჭარბებით შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების 1959 წლის გეგმები.

ნაყოფიერად მუშაობენ მეირეძალოვან კოლმეურნეობათა ბაზაზე ჩამოყალიბებული საბჭოთა მეურნეობები. ამ მხრივ აღსანიშნავია ახალქალაქის რაიონის ოკაძის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ხუთი კოლმეურნეობის ბაზაზეა შექმნილი. მიმდინარე წლის ათ თვეში აქ საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.793 კილოგრამი რძე, მაშინ როცა წინათ აქეს, კოლმეურნეობებში, თვითეული ძროხის წველადობა 300 კილოგრამს არ აღემატებოდა. თრიალეთის საბჭოთა მეურნეობაში მიმდინარე წლის ათ თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.998 კილოგრამი რძე.

ერთგვარი გაუმჯობესებაა მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებისა და საინკუბატორო სადგურების მუშაობაში.

წელს ფართო მასშტაბით მოაწყეს მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები ბოლნისის, ქობულეთის, ტყიბულის, კასპის, ცხაკაიას, ლაჩხუთის, ზუგდიდის და მთელ რიგ სხვა რაიონებში, რამაც დიდად შეუწყო ხელი ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოების გადიდებას.

შემდეგ დეპუტატი ეხება სოფლების ელექტროფიკაციის საკითხსა და აღნიშნავს, რომ 1959 წლის 1 ნოემბრისათვის ჩვენი რესპუბლიკის სოფლებში მოქმედებს 45 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრის 331 სასოფლო ელექტროსადგური. ელექტროფიცირებულია ყველა სარემონტო-ტექნიკური სადგური და 85 საბჭოთა მეურნეობა.

როგორც წესი, სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოთა დაგეგმვას, დაპროექტებას და შემდეგ აგებული ელექტროსადგურების ექსპლოატაციას აწარმოებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო, სამშენებლო სამუშაოს კი — შენებლობის სამინისტროს ტრესტი — „საქსოფლელექტრომშენი“. ასეთი მდგომარეობის გამო ხშირად ძნელი ხდება იმის გამორკვევა, თუ ვისი მიზეზით ფერხდება ელექტროფიკაციის სამუშაოები. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ მომავე რესპუბლიკების გამოცდილების მიხედვით ტრესტი „საქსოფლელექტრომშენი“ გამოეყოს მშენებლობის სამინისტროს და გადაეცეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

დეპუტატ ე. ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვა

დეპუტატი ე. ანდრონიკაშვილი თავის გამოსვლას უძღვნის ფართო ჰორიზონტებს, რომლებიც საბჭოთა საქართველოს მეცნიერების წინაშე აისახება, მის მდიდარ შესაძლებლობებს და იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს მისი შემდგომი განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობასთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის.

ჩვენს დროში შემდგომი ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების პერსპექტივებთან. იგი ელექტროენერგიაზეც უფრო უნივერსალურია. პრაქტიკულად ვერ მივუთითებთ სახალხო მეურნეობას ვერცერთ დარგს, ინდუსტრია იქნება ეს თუ სოფლის მეურნეობა, მეცნიერებისა თუ მედიცინის ვერცერთ დარგს, რომლებშიც ატომის ენერგიის გამოყენებით არ შეიძლებოდეს მოველოდეთ განსაკუთრებულ შედეგებს ან უდიდეს ეკონომიას.

ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ ქართველმა ფიზიკოსებმა დაიწყეს მუშაობა გამოსხივების გამოყენების ახალ შესაძლებლობათა ძიებისათვის და აღმოაჩინეს მთელი რიგი ახალი და საინტერესო მოვლენები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საფიქრო და კვლის მრეწველობაში.

ყველა აღმოჩენილი მოვლენა შემდგომ უნდა იქნას შესწავლილი, მაგრამ უკვე არა ფიზიკის ინსტიტუტში, არამედ სპეციალურ დაწესებულებაში, რომელიც უნდა მუშაობდეს რადიაციული ზემოქმედების პრობლემაზე კვების მოწინავე ბიოქიმიისა და კვების მოწინავე მიკრობიოლოგიის მეთოდების დახმარებით. საჭირო მიღებულ იქნას საარწრაფო ღონისძიებანი კვების ინდუსტრიის ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის სპეციალისტთა საჭირო რაოდენობით მომზადებისათვის, რომლებიც დაუფლებული იქნებიან ახალ მეთოდებს.

შემდეგ დეპუტატი ე. ანდრონიკაშვილი ეხება რეაქტორის ამუშავებას—ქართული მეცნიერებისა და კულტურისათვის ღირსშესანიშნავ მოვლენას.

ორატორი ეხება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში კაპიტალური მშენებლობის საკითხებს, რომელიც აშკარად არადამაკმაყოფილებლად წარმოიკვეთა.

მეცნიერებათა აკადემიის დავალებით იგი სთხოვს სესიას განიხილოს აკადემიის 1960 წლის ბიუჯეტის 5 მილიონი მანეთით გადიდების საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა მოწყობილობის შეძენა ინსტიტუტებისათვის, რომლებიც ახლად იხსნება.

დეპუტატ ი. დ. ვიშნიაკოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლებსაც ეს სესია განიხილავს, თვალნათლივ გვიჩვენებენ, თუ წლითიწლობით როგორ იზრდება და ვითარდება საბჭოთა საქართველოს მრავალდარგიანი სახალხო მეურნეობა.

საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრის — რუსთავის მშრომელებს თავიანთი თავდადებული შრომით მცირე წვლილი როდი შეაქვთ რესპუბლიკის მძიმე ინდუსტრიის განვითარების, მისი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების საქმეში.

ამერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა ათ თვეში ღირსეულად შეასრულა პროდუქციის გამოშვების საგეგმო მაჩვენებლები, ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და მილები.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს რუსთავის მეცემენტეებმა და მშენებლებმა. საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა 1959 წლის ათ თვეში შესრულებულია 96. 6 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო მეურნეობის საწარმოების მიერ გეგმების შესრულება შედარებით წარმატებით მიმდინარეობს, ქალაქის ორგანიზაციები და დაწესებულებები 1959 წლის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის გეგმას ვერ ასრულებენ.

ამის შედეგად ქალაქის ბიუჯეტს სისტემატურად აკლდება გეგმით გათვალისწინებული ანარიცხები. ათ თვეში შემოსავლის დანაკლისი 2,8 მილიონ მანეთს შეადგენს.

ამხ. ვიშნიაკოვი სთხოვს სესიას დამატებით გამოიყოს ბიუჯეტის გასავლის ნაწილში 1.025 ათასი მანეთი, რაც აუცილებელია სკოლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების კაპიტალური რემონტისათვის, სამეურნეო ხარჯებისა და სხვა საჭიროებებისათვის. შემდეგ იგი დაწვრილებით ეხება ნაკლოვანებებს რუსთავის სპბინათა მშენებლობის დარგში.

ამხ. ვიშნიაკოვი სთხოვს სესიას დაავალოს სახალხო მეურნეობის საბჭოს უშუალოდ მოპკიდოს ხელი რუსთავში სპბინათა მშენებლობის საკითხებს, სამრეწველო ობიექტების აგების პარალელურად აშენოს ახალი საცხოვრებელი კვარტალები ისეთი მოცულობით, რომელიც დააკმაყოფილებს ქალაქის ფაქტიურ საჭიროებას.

ორატორი აკრიტიკებს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რუსთავში სკოლამდელ სბავშვო დაწესებულებათა განვითარებისადმი უყურადღებობისათვის და ლაპარაკობს ნაკლოვანებებზე კეთილმოწყობისა და კომუნალური მეურნეობის დარგში.

ნება მიბოძეთ პირობა მივცე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიას, რომ ინდუსტრიული რუსთავის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გადაქცეთ რუსთავი— რესპუბლიკის ერთ-ერთ მოწინავე ქალაქად.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ა. ე. მელაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო!

დიდია წარმატებებმა, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ მიმდინარე წელს მიაღწია, შესაძლებლობა მოგვცა 1960 წლისათვის გეგეისრა უფრო მაღალი ვალდებულებანი, ვიდრე შვიდწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული. გარკვეული წარმატებაა მოპოვებული თბილისის საქალაქო მეურნეობაშიც, სადაც მიმდინარე წლის ათ თვეში მარტო აღმასკომის ხაზით დაფინანსების ყველა წყაროდან დახარჯულია 372 მილიონი მანეთი, მათ შორის კაპიტალურ მშენებლობაზე დაბანდებულია 288 მილიონი მანეთი, ანუ 46 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

განსაკუთრებით სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის მთავარგაზმშენის სამშენებლო სამმართველოებმა ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს საკავშირო მთავრობის დავალება და დიდი ოქტომბრის დღესასწაულისათვის თბილისში საზეიმოდ აინთო ბუნებრივი გაზის ჩირაღდანი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ძირითადმა სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადამეტებით შეასრულეს.

გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე ქალაქის ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანის, მომხმარებელთათვის ელექტროენერგიის მიწოდების, წყალსადენისა და კანალიზაციის ახალი ქსელის გაყვანის, თხევადი გაზის ბაზაზე ბინების გაზიფიკაციის, ქალაქის გაშენების, სპბინათა ფონდის კაპიტალური შეკეთების გეგმები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის მეურნეობის ცალკეულ დარგებში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ქალაქის ცალკეული სამშენებლო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო კაპიტალური დაბანდების წლიური გეგმა ათ თვეში შესრულებული 74 პროცენტით; ახალი საცხოვრებელი ფართობი საექსპლოატაციოდ გადაეცემელია წლიური გეგმის მხოლოდ 44,5 პროცენტის ოდენობით.

ქალაქ თბილისის 1960 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველია 767.053 ათასი მანეთით, რაც 1959 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს აღემატება 114.157 ათასი მანეთით ანუ 17,4 პროცენტით.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა 1960 წლის გეგმით მარტო საბინაო მშენებლობას მოხმარდება 179 მილიონი მანეთი და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 121,1 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ქ. თბილისის კომუნალური საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური შეკეთებისათვის ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 23.850 ათასი მანეთის გაღებას. ამ თანხით და საბინაო ორგანიზაციის საკუთარი სახსრებით შესაძლებელია კაპიტალურად შეკეთდეს მხოლოდ 230 საცხოვრებელი სახლი, მაშინ როდესაც ქალაქში აღრიცხვაზეა 1.000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, რომლებსაც ესაჭიროება გადაუდებელი რემონტი. საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ საკავშირო მთავრობის დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად ჩვენ ვთხოვთ ასიგნობათა გადიდებას 5 მილიონი მანეთით მაინც.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისის კეთილმოწყობაზე ლიმიტგარეშე კაპიტალური დაბანდების თანხის გაღებას მხოლოდ 10.160 ათასი მანეთის ოდენობით, რაც მიმდინარე წლის დონეს არ აღემატება. ჩვენ გთხოვთ გადიდოთ ეს ასიგნობანი 3.500 ათასი მანეთით. 1960 წლისათვის ქალაქის კეთილმოწყობის ობიექტების შესანახავად საჭიროა 37 მილიონი მანეთი, ბიუჯეტის პროექტით კი გათვალისწინებულია მხოლოდ 27.273 ათასი მანეთი. ამ დანაშაულებრივ გთხოვთ დამატებით გაიღოთ 10 მილიონი მანეთი.

თბილისს ქალაქის აღმასკომის ხაზით დაფინანსებული სხვა წყაროებით 1960 წელს უნდა შესრულდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 95 მილიონი მანეთის მოცულობისა, საშენი მასალები კი გამოყოფილია ძალიან ცოტა, მხოლოდ 39 მილიონი მანეთის სამუშაოებისათვის. ვთხოვთ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მისცეს სათანადო მითითება საგეგმო კომისიას, რათა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს საჭირო რაოდენობით გამოეყოს საშენი მასალები.

დეპუტატ გ. მ. მარუაშვილის სიტყვა

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის, კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად, ჩვენს რესპუბლიკას საერთო სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებლით და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში. შობადობისა და ბუნებრივი მატების მხრივ კი ჩვენი რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს ჩამორჩება.

ამ ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფაქტორს რესპუბლიკის სამედიცინო კოლექტივთან ერთად უყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. სრული სერიოზულობით და სიმკაცრით უნდა გაიმალოს ბრძოლა უკანონო აბორტების წინააღმდეგ. განსაკუთრებული უყურადღება უნდა მიექცეს დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე სანიტარიული წესრიგის დაცვას. თბილისის სტალინის რაიონის მოსახლეობის ინიციატივამ სისუფთავის დამყარებისათვის ბრძოლაში აქტიური მხარდაჭერა უნდა ჰპოვოს მთელ რესპუბლიკაში.

შემდეგ ამხ. მარუაშვილი ლაპარაკობს როსტოველ მედიცინის მუშაკთა ძვირფას თაოსნობაზე და ამბობს, რომ მედიცინის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები როგორიც არიან: წულუკიძე, ერისთავი, სარაჯიშვილი, ფიფია, შუმანია, ზურაბაშვილი, ხუნდაძე, ნაზარიშვილი, ვეფხვაძე, მესტიაშვილი და სხვ., დიდ დახმარებას უწევენ პოლიკლინიკების მუშაკებს. ისინი კვირაში ერთხელ მორიგეობენ პოლიკლინიკებში და მკურნალობენ ავადმყოფებს. გარდა ამისა, ჩვენი სპეციალისტები მიემგზავრებიან რაიონებში და სამედიცინო დახმარებას უწევენ მოსახლეობას სხვადასხვა სახის დაავადებასთან ბრძოლაში. — ჩვენ იმედი გვაქვს, — ამბობს შემდეგ ამხ. მარუაშვილი, — რომ თბილისში გახსნილი ატომის რეაქტორი სწრაფლებას მოგვცემს უფრო ეფექტურად ვებრძოლოთ ისეთ დაავადებებს, როგორიც არის სიმსივნეები, სისხლის ბურთულების დაავადება და სხვ. გარდა ამისა, რეაქტორი გაგვიადვილებს მთელი რიგი იზოტოპების და სხვა ნივთიერებათა შესწავლას.

— როგორც ცნობილია, — ამბობს ორატორი, — ჩვენი რესპუბლიკის კურორტები მომსახურებას უწევენ როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისე დემოკრატიული ქვეყნების მშრომელებს. ჩვენი კურორტების მუშაობის ხასიათის მიხედვით ჩამოსული დასვენებლები ეცნობიან საქართველოს კულტურას, ხალხს ყოფაცხოვრებას. ამატომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კურორტების კეთილმოწყობას, მომსახურების კულტურას, კურორტებზე სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობას და კულტურულ მომსახურებას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ს. გ. თიბილოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის და 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებსაც ეს სესია განიხილავს, სავსებით შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის ხალხთა ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების ინტერესებს.

სამხრეთ ოსეთის მშრომელები ქართველ ხალხთან ერთად შრომობენ პარტიის ისტორიული XXI ყრილობის დიად წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით და ყოველდღიური დახმარებით წარმატებებს აღწევენ თავიანთი ოლქის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის საქმეში.

ორატორი აკრიტიკებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს, რომელიც ვერ ასრულებს ოლქში კაპიტალური მშენებლობის გეგმებს.

ამხ. თიბილოვი აყენებს საკითხს სტალინირში სამკერვალო ფაბრიკის აგების შესახებ, რომლის მშენებლობა ამჟამად ფერხდება იმის გამო, რომ არ არის სამუშაო ნახაზების შესადგენი სახსრები. ფაბრიკის მშენებლობა გათვალისწინებული არ არის 1960 წელშიც, თუმცა არსებობს სათანადო გადაწყვეტილება.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა 1960 წელს სტალინირში დაიწყოს 100-საწოლიანი საბავშვო საავადმყოფოს მშენებლობა და მოამზადა საპროექტო დოკუმენტაცია.

ამხ. თიბილოვი სთხოვს სესიას 1960 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმაში გათვალისწინოს ქ. სტალინირში საბავშვო საავადმყოფოს მშენებლობა, იგი ითხოვს აგრეთვე დამატებითი სახსრების გამოყოფას გზების რემონტისათვის, ეურორტების და ახლად აღმოჩენილი მინერალური წყაროს კეთილმოწყობისათვის.

ამხანაგ თიბილოვს წინადადება შეაქვს დამტკიცდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

დეპუტატ ი. ვ. გვენეტაძის სიტყვა

ტყიბულის რაიონში — ამბობს ორატორი,—დიდი გადაჭარბებით სრულდება არა მარტო ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალებები, არამედ დიდი ნაბიჯება გადადგმული სოფლის მეურნეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1960 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ შ. ო. გრძელიშვილის სიტყვა

დეპუტატი შეეხო ადიგენის რაიონის მშრომელთა მიღწევებს სოფლის მეურნეობის დარგში. რაიონის მშრომელებმა მიუხედავად ამინდის არა ხელსაყრელი პირობებისა დროზე და უდანაკარგოდ აიღეს მოსავალი, გეგმის გადაჭარბებით და ძირითადად აგროვადებში დაამთავრეს სამემოდგომო თესვის სამუშაოები. გადაჭარბებით შესრულდა რაიონში პირუტყვისათვის უხეში და წვნიანი საკვების დაგროვების დაკალებები. საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გეგმების შესრულებასთან ერთად ამაღლდა მისი პროდუქტიულობა.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს, თუ როგორ გეგმაჯობესდა ადიგენის რაიონის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. მარტო წელს აიგო და შენებლობის პროცესშია 250-მდე საცხოვრებელი სახლი. 14 სოფელში გაყვანილია ახალი წყალსადენი, მარნულ დაიწყო და წელს დამთავრდება რაიონის ყველა კოლმეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოები. სოფლების ბოლოჯურისა და ირლის მექანიკური წყალსაქაჩებისა და თრიალეთის წყალსაცავის მუშაობებით 1.500 ჰექტარით გაიზარდა სათესი მიწის ფართობი. ამკამად საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო აწარმოებს საზღვრისპირა სოფლების წყალსაცავის შენებლობისათვის მოსამზადებელ მუშაობას.

დეპუტატმა გრძელიშვილმა სესიის ყურადღება გამამხვილა ადიგენის რაიონში ჩამოსახლებული მოსახლეობის დამკვიდრებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გეგმაჯობესების საკითხზე. რაიონში შეიქმნა ორი ახალი საბჭოთა მეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებულია 23 სოფლის მოსახლეობა. მიუხედავად აღნიშნული საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობისა, ცოტა რამეა გაკეთებული მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გეგმაჯობესებისათვის. ავარიულ მდგომარეობაშია მისასვლელი გზები და ხიდები. მოსახლეობას აკლია სასმელი წყალი, არა აქვს კლუბი. არ არის გამოყოფილი საჭირო თანხები სოფლების ელექტროფიკაციისათვის. საჭიროა გაფართოვდეს სარწყავი ქსელი და წელს დამთავრდეს უდის სარწყავი ქსელის შენებლობა, განხორციელდეს რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა. ცნობილია, რომ საქართველოს კურორტებს შორის აბასთუმანი ერთ-ერთი უძველესია. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აქ ახალი თითქმის არაფერი აშენებულა, არსებული შენობები კი სიძველის გამო თანდათან მწყობრიდან გამდის. ეს სეზონურად სიძნელეებს ქმნის კურორტის მოსახლეობის და ეკონომიკურად სპეციალისტების საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილების საქმეში.

ეთხოვთ საქართველოს სსრ მთავრობას მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ასიგნმანი კურორტ აბასთუმანში საცხოვრებელი ბინებისა და სასტუმროს მშენებლობისათვის.

დეპუტატ ე. შ. გოგიტიძის სიტყვა

1929 წლიდან დღემდე ჩემი სამუშაოს ხასიათის გამო ვყოფილვარ ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში—იტალიაში, ესპანეთში, თურქეთში, საბერძნეთში, ინდოეთში, ეროყში, ეგვიპტეში... ძნელია ორი სიტყვით გადმოგცეთ როგორ ცხოვრობენ იქ მუშები და გლეხები. სიღატაკე, ავადმყოფობა ცუდი კვების გამო, წერა-კითხვის უცოდინარობა — აი რას ეხედებოდი. კაპიტალისტურმა „სამოთხემ" მშრომელი მოსახლეობა სიღატაკემდე მიიყვანა.

მიხარია და ვამაყობ, დიდი საბჭოთა კავშირის მოქალაქე რომ ვარ.

საბჭოთა მეზღვაურები დიდი აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით შეხვდნენ XXI ყრილობის გადწყვეტილებებს. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ფლოტის დიდი შეავსება სწრაფი დიდტონაჟიანი გემებით, თანამედროვე ნავსადგურების, ახალ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და ახალი გემშემკეთებელი ბაზების შენებლობა, უკვე არსებული ობიექტების გაფართოება. გათვალისწინებულია აგრეთვე დიდი საბინაო და კულტურული შენებლობა მეზღვაურთა ცხოვრების დონის კიდევ უფრო ასამაღლებლად.

საზღვაო ფლოტისა და ნავსადგურების ზრდასთან ერთად გაიზარდნენ მეზღვაურთა ადგილობრივი ეროვნული კადრები. ზღვებსა და ოკეანეებზე, საბჭოთა კავშირის ყველა ნავსადგურში, საერთო ოკახში შრომობენ მეზღვაურები, რომლებიც ფლოტში მოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკიდან. ისინი თავდადებული მუშაობით ზრდიან საყვარელი სამშობლოს დიდებას.

დეპუტატ ს. ე. ჯილაიას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! თვითეულმა საბჭოთა მოქალაქემ იცის, რომ საბჭოთა ბიუჯეტის ყოველი მანეთი ჩვენი დიდი და მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის შემდგომ ძლიერებას ხმარდება; იმას ხმარდება, რომ უფრო მტკიცე, უფრო ძლავრი იყოს ჩვენი სამშობლო, უფრო ღონეთიანი და მდიდარი იყოს ჩვენი ხალხი. ყოველი საბჭოთა კაცი ამაყობს იმით, რომ იგი ღირსეული შემოქმედი მოქალაქეა ჩვენივე ხალხის ბრძოლითა და შრომით შექმნილი ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოსი. ყოველმა ჩვენებანმა იცის, რომ ის ციფრები, რიცხვები, პროცენტები, რომლებიც დღეს აქ მოვისმინეთ საბჭოთა საქართველოს 1960 წლის ბიუჯეტისა თუ გეგმის შესახებ, იმას ნიშნავს, რომ უფრო ლამაზი, უფრო დოვლათიანი, უფრო მშვენიერი იყოს ჩვენი საბჭოთა საქართველო.

ახალი საქართველოს ისტორია განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის ხალხების შემდგომ წარმატებასა და ძლიერებასთან. საბჭოთა საქართველოს ყოველ მოქალაქეს გვახარებს ის, რომ ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამ ახალ თავფურცელს ახლა ეცნობიან ჩვენი ქვეყნის მილა, რომ ჩვენი წიგნი ქართული ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გასცდა, რომ ჩვენს მოეკეკავეებს, ჩვენს სახელოვან მსახიობებს ტაშს უკრავენ მსოფლიოს ყოველ კუთხეში. ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი მშრომელი ხალხის ხელით შექმნილი დოვლათი: ჩვენი ღონობაშიც კარგად მიდის საქმე. ერთ ძროხაზე საშუალოდ 1.700 კილოგრამი რძე მივიღეთ.

ყოველწლიურად მტკიცდება ჩვენი კოლმეურნეობა. წელს არტელის ფულადი შემოსავალი 15 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. თვითეულ შრომადღეზე 35 მანეთს გავცემთ. სოფელი შრომა პატარა ქალაქს ჰგავს. მას ამშვენებს კოლმეურნეთა ლამაზი ოდა-სახლები, საზოგადოებრივი ნაგებობანი, ქუჩები.

ჩვენი კოლმეურნეები უფასოდ სარგებლობენ საკოლმეურნეო წისქვილებით, ელექტროგახათებით, რადიომიმსახურებით, საპარიკმახეროებით, კინოთი და სხვა. წელს ჩაის კრეფის სეზონზე კოლმეურნეებს საველე სასადილოებიდან უფასოდ ვაძლევდით სადილს.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის წინაშე მინდა დავაყენო ასეთი მტკივნეული საკითხი.

ჩვენს რაიონში, კერძოდ შრომის კოლმეურნეობაში შვიდწლედით დასახულია ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენების დიდი გეგმა. ამ გეგმის დაცნობისთანავე თვალში გეცემათ ერთი გარემოება: პლანტაციების გაშენების ყველაზე მეტი დავალება შვიდწლედის ბოლო წლებზე მოდის.

ჩემი აზრით, იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ შვიდწლედის ბოლოს ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის ზრდის საქმეში ნაკისრი ვალდებულებანი, საჭიროა ამ კულტურათა გაშენების შვიდწლიანი გეგმები გავადიდოთ ერთნახევარჯერ და ისინი გავაშენოთ არა ძირითადად შვიდწლედის ბოლო წლებში, არამედ წელს და 1960 წლის გაზაფხულ-შემოდგომაზე.

ჩვენ სამნაზის სათესი მიწების მუწავე ნაკლებობას განვიცდით, მაშინ როცა კოლხიდის ათასობით ჰექტარი მიწა ყოველწლიურად გამოუყენებელი რჩება. საჭიროა გადაისინჯოს მიწათსარგებლობის აქტები, კოლმეურნეობებს ჩამოეჭრათ აუთვისებელი მიწები და გადაეცეთ იმათ, ვინც მიწებს დაამუშავებს.

დეპუტატ ვ. ა. დურგარიანის სიტყვა

ცნობილია, რომ ბოგდანოვკის რაიონი მეცხოველეობის რაიონია. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვახორციელოთ რაიონში პირუტყვდამზადების რეორგანიზაცია და მის ბაზაზე მოვაწყოთ ხორცკომბინატი. ასეთი რეორგანიზაცია დიდ ხარჯებს არ მოითხოვს, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირუტყვდამზადების უკვე აქვს კაპიტალური ნაგებობანი და სავსებით ახალი კანტორა. წელს სახელმწიფოსათვის ხორცის მოყიდვის გეგმა დიდი სიძნელეებითა და დანაკარგებით შეგვასრულეთ. შეგვეძლო კი 700-800 ტონით მეტი ხორცი მიგვეყიდა, იგი დროულად რომ მიეღოთ ხორც-კომბინატებს.

ამომრჩეველებმა დამავალეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე დაეყენო საკითხი ორლოვკა-სპასოვკის სარწყავი არხის შენებლობის შესახებ. არხის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 10 მილიონნი მანეთია. მისი დამთავრება რაიონს 4.500 ჰექტარ სარწყავ ფართობებს მისცემს. არხის შენებლობა მრავალი წლის წინათ დაიწყო, მაგრამ დღემდე არ არის დამთავრებული. წყალთა მეურნეობის სამინისტრო უკვე მეორე წელია არხის ასაგებად იძლევა 200-300 ათას მანეთს წელიწადში. სარწყავი ნაკვეთების არსებობის პირობებში ჩვენს კოლმეურნეობებს თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ ესპარიკების ორი მოსავალი და კარტოფილის უფრო მაღალი მოსავალი, ვიდრე რესპუბლიკის ბევრ სხვა რაიონს. სესიას ეთხოვ დაავალოს წყალთა მეურნეობის სამინისტროს სარწყავი არხის შენებლობის დამთავრება 1960-1961 წლებში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ბევრი რამ გააკეთეს ბოგდანოვკის რაიონნული ცენტრის კეთილმოწყობისათვის.

ეთხოვ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სასიბუჯეტო კომისიას გაადიდოს ასიგნმანი რაიონული ცენტრის კეთილმოწყობისათვის, აიყვანოს ისინი 560 ათას მანეთამდე. ამკამად ვადგენთ წყალსადენის შენებლობის პროექტს. ჩვენი თხოვნაა მისი შენებლობა დაიწყოს 1960 წელს.

საქართველოს სსრ კავშირგამბმულობის მინისტრის გ. ა. ქრისტესაშვილის სიტყვა

საქართველოს კავშირგამბმულობის მუშაკთა კოლექტივმა უკანასკნელ წლებში ერთგვარ წარმატებებს მიაღწია კავშირგამბმულობის საშუალებების, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაში. 1958-1959 წლებში გაიხსნა კავშირგამბმულობის ასი სასოფლო განყოფილება და „სოიუზპეჩატის" 104 კიოსკი. გაწეულია დიდი მუშაობა ფოსტის ზიდვის დაჩქარებისათვის. ამის შედეგად საქართველოს ყველა რაიონული ცენტრი და ქალაქი, აგრეთვე კავშირგამბმულობის სასოფლო განყოფილებათა ნახევარი რესპუბლიკურ გაზეთებს მათი გამოსვლის დღეს იღებს.

შვიდწლედში გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებმაც მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ საქალაქთაშორისო სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირგამბმულობის ორგანიზაცია. მაგალითად, 1960 წელს თბილისში მოტირებული იქნება საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგური, რომლითაც ერთდროულად განხორციელდება 350 კავშირი. საჭიროდ მიმაჩნია, რომ უკვე 1960 წელს დაიწყოს რადიორელეური და კაბელიანი მაგისტრალის მშენებლობა თბილის-ქუთაისის უბანზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ტელევიზიით უზრუნველეყოთ დასავლეთ საქართველოს რაიონები.

1959 წელს დაიწყო მუშაობა თბილისის ავტომატური ტელეფონის სადგურის რეკონსტრუქციისა და განვითარებისათვის. შვიდწლედის დამლევისათვის დედაქალაქის ატს-ის ნომრების რაოდენობა 17-დან 46 ათასამდე გაიზრდება. 1960 წელს მწყობრში ჩადგება ავტომატური ტელეფონის სადგური 7 ათასი ნომრით.

მაგრამ კავშირგამბმულობის მუშაკთა მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთებისა და კორესპონდენციების დროულად მიწოდებას. მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ფოსტა მთელი დღეებით აწყვია კავშირგამბმულობის განყოფილებში საოლქოურ ფოსტალიონებს არარეგულარულად გამოცხადების გამო.

ჩვენში ყველაფერი რიგზე ვერ არის სოფლების რადიოფიკაციის საქმეშიც.

ეფერდები დეპუტატ ჭანუყვაძის წინადადებას იმის შესახებ, რომ ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია გამოცხადებულ იქნას სახალხო მშენებლობებად.

ჩვენს წინაშე დგას პასუხსაგები ამოცანა — შვიდწლედის ბოლომდე მივაღწიოთ რესპუბლიკის მთლიანი რადიოფიკაციის დამთავრებას.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ა. ა. გიგოშვილის სიტყვა

მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ერთ-ერთ ბრწყინვალე გამოხატულებას წარმოადგენს, — ამბობს დეპუტატი ა. გიგოშვილი, — სოციალურ უზრუნველყოფის საკითხების და კერძოდ პენსიებით უზრუნველყოფის საკითხის მნიშვნელოვნად გაუჯობესება.

ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა პენსიონერთა რიცხვიც და პენსიების თანხების საერთო ოდენობაც.

გარდა ამისა, რესპუბლიკაში მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დანიშვნის სახით ყოველწლიურად იხარჯება 77 მილიონი მანეთი.

მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება აგრეთვე პენსიონერების საკურორტო ბაგეტურებით უზრუნველყოფასა და ერთდროულ ფულად დახმარებებზე.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს სოციუზრუნველყოფის ორგანოების ნაკლოვანებებზე, პენსიების ოდენობის არასწორად განსაზღვრის შემთხვევებზე, ამახვილებს ყურადღებას საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პროფტექნიკური სკოლის მუშაობის საკითხზე.

ამეამად საქართველოში გვაქვს სამი ადგილობრივი და ხუთი რესპუბლიკური მნიშვნელობის ინვალიდთა სახლი. აქედან ერთი სახლი, 220-ადგილიანი გაიხსნა წელს თელავლოს რაიონის სოფელ ძეკრში. 1951 წლიდან სოხუმის რაიონში შენდება კიდევ ერთი 120-ადგილიანი სახლი. სამწუხაროდ, ამ სახლის მშენებლობა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს.

სოციუზრუნველყოფის მუშაკები გრძნობენ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მათ დააკისრეს პარტიამ და მთავრობამ ამ სერიოზულ უბანზე, და გააკეთებენ ყველაფერს, რომ დროზე გამოასწორონ ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, განუხრელად გაატარონ ცხოვრებაში სახელმწიფო პენსიების კანონი, გულისხმიერად ემსახურონ ჩვენს ხალხს.

პროექტი კანონისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. გ. ესაიაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის კანონის პროექტი, რომელიც თქვენს განსახილველად არის წარმოდგენილი, უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

დეპუტატის გაწვევის უფლება — ეს დეპუტატის საქმიანობისადმი ამომრჩეველთა ნამდვილი კონტროლის უფლებაა.

დეპუტატის გაწვევის უფლება სოციალისტური დემოკრატიზმის ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ხალხის ნამდვილ სრულუფლებიანობას, იგი წარმოადგენს ამომრჩეველთა სუვერენიტეტის აშკარა გამოვლინებას.

დეპუტატის გაწვევის უფლების საკანონმდებლო წესით აღიარება და მისი პრაქტიკულად გამოყენება პირველად საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი.

საბჭოთა ხელისუფლება ხალხის ხელისუფლებაა. საბჭოთა ხალხი თვითონ არის თავისი ბედის ბატონ-პატრონი. იგი თვითონ მართავს და განაგებს სოციალისტურ სახელმწიფოს, ახორციელებს მუშათა კლასის დიქტატურას, რომლის პოლიტიკურ საფუძველია და სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები.

საბჭოების, როგორც ხალხის არჩეულთა ორგანოების, არსებობა ბუნებრივად გულისხმობს დეპუტატის გაწვევის უფლებას, რადგან უამისოდ არ არის არჩეულისადმი ამომრჩეველთა ნამდვილი კონტროლი. ეს ასე იყო ისტორიულად. დეპუტატის გაწვევის უფლება გაჩნდა საბჭოთა, როგორც სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების, წარმომობასთან ერთად.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დიდმა ფუძემდებელმა და მშენებელმა ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა და დასაბუთა რა საბჭოები, როგორც მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა, ჯერ კიდევ თავის განთქმულ „აპრილის თეზისებში" ცალკე პუნქტად შეიტანა და საბჭოების ხელისუფლებისათვის სავალდებულოდ გამოაცხადა პრინციპი „ყოველი მოხელის არჩევითობა და გადაყენება ყოველ დროს".

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის რამდენიმე დღის შემდეგ — 1917 წლის 19 ნოემბერს ლენინმა დაწერა „პროექტი დეკრეტისა გაწვევის უფლების შესახებ", რომელშიც წამოყენებული იყო ურყეები დებულება, რომ „რომელმე არჩეულთა დაწესებულება თუ წარმომადგენლობა კრება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტად დემოკრატიულ და ნამდვილად ხალხის ნების გამომხატველ დაწესებულებად, თუ აღიარებული და გამოყენებულია ამომრჩეველთა მიერ თავიანთ არჩეულთა გაწვევის უფლება".

უკვე 21 ნოემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ვ. ი. ლენინი გამოვიდა მოხსენებით ამ პროექტის დასაცავად და ახალი ძალით, ამასთან გაშლილი სახით დასაბუთა დეპუტატის გაწვევის უფლების საკანონმდებლო წესით აღიარებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების აუცილებლობა.

ვ. ი. ლენინმა მთელი კატეგორიულობით განაცხადა:

„ბადარჩევის საკითხი — დემოკრატიული საწყისის ნამდვილი განხორციელების საკითხია", რომ ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის გამოწვევის უფლება— ეს არის „ნამდვილი კონტროლის უფლება"

ლენინმა თავის მოხსენებაში რამდენჯერმე გაუსვა ხაზი გაწვევის უფლების დაუყოვნებლივ შემოღების აუცილებლობას და იგი შემდეგი სახით ჩამოაყალიბა:

„საჭიროა პირდაპირი, თანმიმდევრული და დემოკრატიული საწყისის განხორციელება დაუყოვნებლივ — გაწვევის უფლების შემოღება".

უნდა განვაგრძოთ, — ამბობდა ლენინი, — დემოკრატიზაციის ხაზი და გაწვევის უფლება სინამდვილედ გადავაქციოთ".

ვ. ი. ლენინის მოხსენების შემდეგ დეკრეტი გაწვევის შესახებ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა იმ დღესვე.

საბჭოთა დემოკრატიზმის ეს უმნიშვნელოვანესი ლენინური პრინციპი შემდეგ შეტანილ იქნა სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში. მაგრამ, როგორც ცნობილია, უკანასკნელ დრომდე ჩვენ არ გაგვაჩნია დეპუტატის გაწვევის საკანონმდებლო აქტით დადგენილი, გაშლილი სახით ჩამოყალიბებული წესი.

პარტიის XX ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა, ეხებოდა რა საბჭოების მუშაობას, განაცხადა: „კონსტიტუცია ითვალისწინებს, რომ საბჭოს დეპუტატი, რომელმაც ვერ გაამართლა მასთვის აღმოჩენილი ნდობა, შეიძლება ამომრჩეველებმა გაიწვიონ. ამ დებულებას ყოველთვის, როდი აყენებენ იმ დეპუტატების მიმართ, რომლებმაც ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლეს".

ასეთი მოგონარეობა ერთგვაროვან იმითაც აიხსნებოდა, რომ ჩვენ არ გაგვაჩნდა დეპუტატის გაწვევის შემუშავებული წესი.

სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ სპეციალურად განიხილა ეს საკითხი და მიიღო კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ, რასაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთელი საბჭოთა ხალხი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ ერთხმად მიღება კანონისა დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ წარმოადგენს მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება სოციალისტური დემოკრატიზმი, რომელს გადაჭყეტელ უპირატესობა ასე დამაჯერებლად და მთელი მისთვის ჩვენი ბოლშევიკური მეზნეურებით ნათელყო ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა თავისი მოგზაურობის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ბურჟუაზიული კონსტიტუციები არ ცნობენ დეპუტატის გაწვევის უფლებას და ეს გარემოება სურთ გაამართლონ ფარისეველური ფრაზებით იმის შესახებ, რომ თითქოს დეპუტატი არ უნდა იყოს დამოკიდებული ამომრჩეველთა აზრზე თუ იმ ჯგუფზე, რომ დეპუტატს თითქოს ამით შეიძლება ჰქონდეს სრული თავისუფლება და მას ვითომ ასეთ შემთხვევაში შეუძლია იხელმძღვანელოს თავისი სინდისით.

ბურჟუაზიული იურისპრუდენციის ამ თვალთმაქცობის სამსახურებრივი დანიშნულებაა დაფაროს ის უტყუარი ფაქტი, რომ ბურჟუაზიული პარლამენტების დეპუტატი არის არა ხალხის, არამედ ერთი მეჭა კაპიტალისტების ინტერესთა დამცველი და გამომხატველი, კაპიტალის ერთგული მსახური.

როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, „ბურჟუაზიამ განზრახან არ შემოიღო გაწვევის უფლება — ნამდვილი კონტროლის უფლება".

ბურჟუაზიული დეპუტატი არ არის პასუხისმგებელი ხალხის, ამომრჩეველების წინაშე. ამომრჩეველს ბურჟუაზიულ ქვეყნებში არა აქვთ დეპუტატების საქმიანობისადმი კონტროლის უფლება და, რასაკვირველია, მოკლებული არიან საშუალებას გაგლენა მოახდინონ სახელმწიფო პოლიტიკაზე.

ბურჟუაზიულ დეპუტატს ამომრჩეველებთან კავშირი აქვს მხოლოდ საარჩევნო კამპანიის პერიოდში. როგორც კი დამთავრდება ეს კამპანია, ხმების მიცემის შემდეგ დეპუტატს არავითარი კავშირი არა აქვს ამომრჩეველთან.

ჩვენში საბჭოთა კავშირში სულ უფრო მტკიცდება და ძლიერდება დეპუტატის კავშირი მშრომელთა მასებთან, სულ უფრო მაღლდება დეპუტატის როლი და მნიშვნელობა. ჩვენი პარტიის XXI ყრილობამ, შეაჯამა რა საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული ისტორიული წარმატებანი, დასახა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ნათელი და კონკრეტული პროგრამა.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში კიდევ უფრო იზრდება საბჭოების როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში.

სახალხო მეურნეობის შვიდწლიანი გეგმის დიადი ამოცანების ვადაზე ადრე და წარმატებით განხორციელება მოითხოვს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომ გაძლიერებას, ხალხის უფართოესი მასების მონაწილეობას მთელ იმ გიგანტურ ორგანიზაციულ-სამეურნეო შუამაობაში, რომელიც ასე გაჩაღებულია ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში.

მასების აქტივობის გაძლიერების, მათი მობილიზაციისა და დარაზმვის საქმეში სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები და, ამრიგად, იზრდება რა საბჭოების როლი, ცხადია, ამავე დროს იზრდება დეპუტატების როლი და პასუხისმგებლობა.

დიდი და პასუხსაგებია საბჭოთა დეპუტატის მოვალეობა. იყო ხალხის ნდობის ღირსი დეპუტატის მაღალ და საპატიო პოსტზე — ეს ნიშნავს დაუღალავად და თავდადებით იბრძოდე მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის, მთელი შენი ძალებით შეუწყო ხელი სოციალისტური სამშობლოს გაძლიერებას, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ აღმავლობას.

რაც უფრო ახლოა დეპუტატი მასებთან, მით უფრო კარგად იცის მათი საჭიროებანი და მოთხოვნები, და ამის გამო მით უფრო ეფექტური შეიძლება იყოს მისი დახმარება საბჭოსადმი.

დეპუტატს უდიდეს მორალურ ძალას აძლევს ხალხის ნდობა და მხარდაჭერა, ამიტომ დეპუტატი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ერთგულად, თავდადებით და სიმართლით ემსახუროს ხალხს, იყოს ხალხის პატივისცემისა და ნდობის ღირსი.

დეპუტატისათვის დიდი ბედნიერებაა, როცა მაგ იცის, რომ ის ამართლებს და იმსახურებს ამომრჩეველთა ნდობას. ხალხის ნდობა ის არის, რითაც ყველაზე მეტად შეუძლია იამაყოს ადამიანმა.

დეპუტატს მუდამ უნდა ახსოვდეს და ერთი წუთითაც არ ივიწყებდეს, რომ ის ხალხის რჩეული და ხალხის მსახურია, რომ მან თავისი მაღალი რწმუნებები მიიღო ამომრჩევლებისაგან, ხალხისაგან.

დეპუტატს ასევე მუდამ უნდა ახსოვდეს და ერთი წუთითაც არ ივიწყებდეს, რომ ის პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ამომრჩეველის წინაშე, მთელი ხალხის წინაშე თავისი მუშაობისა და იმ საბჭოს მუშაობისათვის, რომელშიც იგი არჩეულია.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ დაინტერესებულია დეპუტატის აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობით, ყოველნაირად ეხმარება დეპუტატს წარმატებით შეასრულოს თავისი დიდი და საპატიო მოვალეობა. მაგრამ საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა ამომრჩეველებმა აგრეთვე იციან, რომ მათ აქვთ კონსტიტუციით მინიჭებული უფლება ყოველ დროს გამოიწვიონ თავიანთი დეპუტატი, თუ იგი ვერ ამართლებს მათს ნდობას.

კანონი დეპუტატის გაწვევის შესახებ ხელს შეუწყობს იმას, რომ გაძლიერდეს ამომრჩეველთა ზეგავლენა და კონტროლი დეპუტატის საქმიანობისადმი. ამავე დროს ეს კანონი კიდევ უფრო ამაღლებს დეპუტატის პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

„საბჭოთა დეპუტატებმა, — როგორც ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვი ამბობდა, — აოასდროს არ უნდა დაივიწყონ, რომ მათ შეუნარჩუნებელ კონტროლს უწევენ თავიანთი ამომრჩეველები, რომ მათ საკუთარ საქმიანობას განსაზღვრავენ ანა წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში წარმოთქმული სიტყვები, არამედ კონკრეტული საქმეები".

დეპუტატის საქმიანობისადმი ამომრჩეველთა კონტროლის გაძლიერების მიზნით აუცილებელია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ჰქონდეს თავისი უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის შემუშავებული წესი.

კანონის პროექტის პირველ მუხლში აღნიშნულია ის მოტივები, რომელთა მიხედვით შეიძლება დეპუტატის გაწვევა. ასეთი ზოგადი და საერთო მოტივი ორია: ერთი — როცა დეპუტატი ვერ ამართლებს ამომრჩეველთა ნდობას; მეორე — როცა დეპუტატი მოიმოქმედებს ისეთ რაიმეს, რაც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

როგორც ეხედავთ, დეპუტატის გაწვევისათვის საჭიროა არსებობდეს მეტად სერიოზული საფუძველი და მოტივები და ცხადია, არ შეიძლება ყოველი მიზეზით, რაიმე უმნიშვნელო საბაბით აღიძრას საკითხი გაწვევის შესახებ. ეს საკუთარი გასაგებია, როგორც უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აღჭურვილია დიდი რწმუნებით. დეპუტატობა მაღალი წოდებაა, დეპუტატი ხალხის რჩეულია.

პროექტის მეორე მუხლში აღნიშნულია მშრომელთა ის ორგანიზაციები, საზოგადოებები და კრებები, რომლებსაც უფლება აქვთ აღძრან დეპუტატის გაწვევის საკითხი. ამ მუხლიდან ამკარად ჩანს, რომ დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძრა ხდება უაღრესად ფართოდ და ორგანიზებულად.

მესამე მუხლი აწესებს, როგორც აუცილებელ ვალდებულებას, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც აღძრავენ დეპუტატის გაწვევის საკითხს, ეს აცნობონ თვითონ დეპუტატს და ამავე დროს გააცნონ მას ის მოტივები, რომელთა გამო ისმება გაწვევის საკითხი.

ამავე მუხლის ძალით დეპუტატს უფლება აქვს გაწვევის საკითხის აღძვრელ ორგანიზაციებს ან მშრომელთა კრებებს წარუდგინოს ახსნა-განმარტება ზეპირად ან წერილობით.

მეექვსე მუხლის ძალით ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ასევე სსრ კავშირის ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დანიშნავს კენჭისყრას დეპუტატის გაწვევის შესახებ, დაიბარკოლებად გასწიოს აგიტაცია როგორც დეპუტატის გაწვევის სასარგებლოდ, ისე გაწვევის წინააღმდეგ.

ამრიგად, მესამე და მეექვსე მუხლები საშუალებას იძლევა ფართოდ და ამასთან ორგანიზებულად მოხდეს განხილვა როგორც გაწვევის სასარგებლო და საწინააღმდეგო წინადადებებისა, ისე აგრეთვე დეპუტატის ახსნა-განმარტებისა.

პროექტის სხვა მუხლებში განსაზღვრული და დეპუტატის გაწვევის საკითხთან დაკავშირებული სხვა უფლებრივი და ორგანიზაციული მხარეები. მაგალითად, პროექტი აწესებს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კრებების გადაწყვეტილება დეპუტატის გაწვევის საკითხის აღძვრის შესახებ ეგზავნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც ნიშნ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

კამათი მოხსენებების გამო—პროექტი კანონისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ

დეპუტატ კ. კ. გარდაფხაძის სიტყვა

დეპუტატების დიდი უმრავლესობა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, აქტიურად მონაწილეობს მუდმივმოქმედ კომისიებში, დაუღალავად შრომობს ამომრჩეველთა განაწესის განხორციელებისათვის, რეგულარულად გამოდის ამომრჩეველთა წინაშე საანგარიშო მოხსენებებით თავისი და საბჭოების მუშაობის შესახებ, ეთათბირება ამომრჩეველებს საწარმო-დაწესებულებების, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე, უხსნის პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს და რაზმავს მათ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი პროექტი კანონისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ მიმართულია მშრომელთა სრულუფლებიანობისა და ამომრჩეველთა წინაშე დეპუტატთა პასუხისმგებლობის შემდგომი გაზრდისაკენ.

განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტი ისახავს ამოცანას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის 115-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვროს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გაწვევის უფლების განხორციელების წესი.

თანახმად კანონპროექტისა, თუ დეპუტატი ვერ ამართლებს ნდობას და თავისი მოქმედებით ჩირქს სცხებს ხალხის წარმომადგენლის მაღალ წოდებას, ის ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით უკან უნდა იქნას გაწვეული.

ამ მნიშვნელოვანი დემოკრატიული პრინციპის კანონით დადგენილი წესის განხორციელება ხელს შეუწყობს საბჭოების მთელი მუშაობის გაუმჯობესებას და დეპუტატებსა და ამომრჩეველთა შორის კავშირის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას.

საბჭოთა პარლამენტის დემოკრატიული არსის კიდევ ერთი ახალი დადასტურებაა მიმდინარე სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლის მიღება მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და მოწმობს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას.

დეპუტატ ბ. ვ. შინკუბას სიტყვა

ქართველი ხალხი, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში წარმატებით წყვეტენ სკკპ XXI კონგრესის ბიერ დასახულ ამოცანებს. ამ პირობებში სოციალისტური დემოკრატიის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ხალხის ფართო მასების აქტივობისა და თვითმოქმედების შემდგომი განვითარების საკითხს სულ უფრო მეტი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

საბჭოთა წყობილების დემოკრატიზმი, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს სახალხო ხასიათი განსაკუთრებით მკაფიოდ და თვალსაჩინოდ არის ასახული საარჩევნო სისტემაში, საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობაში და მათს კავშირში ამომრჩეველებთან.

დეპუტატის გაწვევის უფლება ხალხის ინტერესების შესაბამისი, ნამდვილად დემოკრატიული ინსტიტუტია. საბჭოთა ხელისუფლების პირველ დეკრეტებს შორის იყო დეკრეტი დეპუტატის გაწვევის უფლების შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა კანონი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ. ამის მიხედვით ამ სესიაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ კანონის პროექტის დაყენებასა და განხილვას აგრეთვე განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით.

ამ კანონით განსაზღვრულია პირობები, რომლებშიც დეპუტატი, რომელმაც ამომრჩეველთა ნდობა ვერ გაამართლა, კარგავს თავის რწმენებას, აგრეთვე დადგენილია მისი გაწვევის მთელი პროცედურა. ამ კანონის მიღება უეჭველია კიდევ უფრო აამაღლებს ხალხის რჩეულთა აქტივობას და დადებით გავლენას მოახდენს საბჭოების საქმიანობაზე. წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს ამ კანონის წარმოდგენილი პროექტი.

მინდა აგრეთვე შევეხო კონტაქტს უმაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა მუშაობაში. ცუდი არ იქნებოდა ტერიტორიულად დაგვიჯგუფებინა დეპუტატები, რათა ისინი ერთობლივი ღონისძიებებით აღწევდნენ საერთო წარმატებას მუშაობაში.

დეპუტატ ე. კ. ხარაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სესიაზე განსახილველად წარმოდგენილია პროექტი კანონისა უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ. პროექტი ეყრდნობა საბჭოთა საარჩევნო სისტემის ძირითად პრინციპს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ დეპუტატი პასუხისმგებელი და ანგარიშმგებელი უნდა იყოს თავისი ამომრჩეველის წინაშე. ეს პრინციპი სავსებით უპასუხებს ჩვენი კონსტიტუციის საფუძვლებს.

დეპუტატის გაწვევის უფლება გამოხატავს მშრომელთა სრულუფლებიანობას და უზრუნველყოფს დეპუტატის ნამდვილ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე.

დეპუტატებს ერთობ ბევრი შესაძლებლობა გვაქვს იმისათვის, რომ ვაკეთოთ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმე. ჩვენ მოწოდებული ვართ ყურადღებით მივეპყრათ ამომრჩეველთა წინადადებებს, სიგნალებს, დროზე შევნიშნოთ და შევეცადოთ აღვკვეთოთ ესა თუ ის ნაკლოვანება.

მე მგონია, რომ ყველა დეპუტატს აქვს მისწრაფება საუკეთესოდ იმსახუროს ხალხს, ყველა დეპუტატს აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. მაგრამ მაინც საჭიროა მეტი სიზუსტე და წესრიგი დეპუტატების მუშაობაშიც. რაკი ჩვენს კონსტიტუციაში არის მტკიცება, რომ დეპუტატის გაწვევის უფლება ჰეშმარიტი დემოკრატიზმის პრინციპული პირობაა. ამდენად ამ უფლების განხორციელებაც უნდა იქნას უზრუნველყოფილი რაოდენ წესით.

სწორედ ამ წესს ითვალისწინებს ახლად წამოყენებული კანონის პროექტი. ეს წესი უზრუნველყოფს ამომრჩეველებისათვის მეტ შესაძლებლობას გაიწვიონ ისეთი დეპუტატი, რომელიც შეუგნებლობით თუ უდარდელობით, უპასუხისმგებლობით თუ გულცივობით ვერ ამართლებს ხალხის ნდობას.

ამიტომ მოგიწოდებთ, ამხანაგო დეპუტატებო. მხარი დავუჭიროთ განსახილველად შემოტანილ კანონის პროექტს.

დეპუტატ კ. დ. ერისთავის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო, აქ წარმოგვიდგინეს პროექტი კანონისა ამომრჩეველთა მიერ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ. ეს კანონი საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარეობს.

ჩვენში დეპუტატებს ირჩევენ ყველა ოჯახის მოწინავე ადამიანთა რიცხვიდან, ნამდვილი დემოკრატიზმის პრინციპის შესაბამისად. ხოლო ვისაც არჩევა შეუძლია, უფლებაც უნდა ჰქონდეს საბჭოებიდან გამოიყვანოს ის წევრი, რომელმაც ვერ გაამართლა ამომრჩეველების ნდობა.

ეს კანონი ხელს შეუწყობს ხელისუფლების ორგანოების უკეთ მუშაობას; ეხმარება დეპუტატებს იმაში, რომ მუდამ ახსოვდეთ თავიანთი მოვალეობა ამომრჩეველთა წინაშე.

წარმოდგენილი კანონის პროექტი საბჭოებიდან იმ დეპუტატის გაწვევის შესახებ, რომელმაც დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულა, უსათუოდ დროული და მიზანშეწონილია. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გაწვევის კანონი კონსტიტუციაში უკვე აღბეჭდილია 142 მუხლში. ახლა მხოლოდ უნდა დამტკიცდეს საერთო კანონი და დეპუტატთა გაწვევის წესი.

დეპუტატ ა. ი. შანშიაშვილის სიტყვა

როდესაც ხალხი დეპუტატს ირჩევს, ამ მოწინავე ადამიანს ხალხი ვალდებულებას აკისრებს, რომ მან თავისი ცოდნა და გამოცდილება მოახმაროს ჩვენი ქვეყნის აღორძინებას, სამშობლოს განმტკიცებას: თვითონ იყოს ინიციატორი კეთილი წამოწყებისა და სხვასაც მხარი დაუჭიროს კეთილ საქმეში. დეპუტატი ისე თავდადებულად უნდა მოქმედებდეს, როგორც მოქმედებდნენ უანგარო მუშაკები ოქტომბრის გასამარჯვებლად.

დღეს ასე თავდადებულად მუშაობს ნ. ს. ხრუშჩოვი და ჩვენც ჩვენი პატარა მასშტაბით მისგან უნდა ავიღოთ მაგალითი, მისგან უნდა ვისწავლოთ გულწრფელი მისვლა მშრომელ ხალხთან.

სრული შეგნებით ვუჭერ მხარს ამ პროექტს, რათა დამტკიცებულ იქნას კანონი დეპუტატის გამოწვევის წესის შესახებ.

ნება მიბოძეთ ლექსით დავამთავრო:

როგორც მთაში, ისე თმაში
დახე, თოვლი მოსულა;
არა ვნაღვლობ ჩემს ჭაღარას,
გული ეშხით მოსილა!
მოდი, თვალე წელთ სიმრავლე,
სთქვი: მოხუცდა თავისთა;
მაინც ვმღერი ხალისით,
მაინც მიყვარს მაისი.
აქვს ჩემს ყანას, ჩემს ქვეყანას
მომავალი მარადის;
მიტომ ვმღერი საზეიმოს
თვით სიკვდილის კარამდის!
ვინც მამული, ცრემლნამული
გაგვიახალგაზრდავა,
გული მივცე მზადა ვარ!
მას ღიდება! მოდგმაშიაც
უკვდავებად გადავა!



თოვლი თბილისში

გუშინ თბილისს პირველი თოვლი ესტუმრა. დედაქალაქს დილადანვე გამოცოცხლება დაეტყო. ახალგაზრდობის სიხარულს საზღვარი არ უჩანდა, გაჩაღდა გუნდაობა...

ზოგმა კი უკმაყოფილება გამოთქვა, თითქოს წლევანდელი თოვლი მეტად ნაადრევია თბილისისათვის, მაგრამ ეს არც თუ ისე სამართლიანია.

ასე, მაგალითად, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში თბილისში სუსტი თოვა აღნიშნულია 1945 წლის 24 ოქტომბერსაც კი. რაც შეეხება ნოემბერს, ამ თვეში მეტ-ნაკლებად თოვლი არც ისე იშვიათად სწვევია თბილისს. იმავე 15 წლიდან მხოლოდ ოთხ წელი (1944, 1946, 1947 და 1949) იყო ისეთი, რომ თოვლი არ მოსულა. განსაკუთრებით გამოირჩევა 1953 წლის ნოემბერი. პირველი დეკადის ბოლო რიცხვებიდან თითქმის ყოველდღე თოვდა, რის შედეგადაც 30 ნოემბერს დილით თოვლის საბურველის სიმაღლე 20 სანტიმეტრს უდრიდა.

წლევანდელი ნოემბერი მაინც გამოირჩევა იმით, რომ 9 სანტიმეტრი სიმაღლის თოვლის საბურველი სულ რაღაც 4 საათის განმავლობაში შეიქმნა.

მკითხველს ალბათ ისიც აინტერესებს, თუ რა ატმოსფერულმა პროცესებმა განაპირობა წელს პირველი თოვლი თბილისში. 24 ნოემბერს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში წარმოიშვა ანტიციკლონი, რომლის გავლენითაც არქტიკული აუზის ცივი ჰაერის მასები დაეშვა სამხრეთისაკენ.

ამ პროცესმა გამოიწვია მკვეთრი აცივება საბჭოთა კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალურ რაიონებში, 26 ნოემბერს არქტიკული ჰაერის მასებმა მიაღწიეს ჩრდილოეთ კავკასიას, სადაც გამოიწვიეს ტემპერატურის დაცემა 15-20 გრადუსით. აღნიშნული ჰაერის მასების შემოჭრა საქართველოში ამჟამად განხორციელდა აღმოსავლეთიდან კასპიის ზღვის გავლით. აქამდე კი საქართველოს ტერიტორიაზე პოლარული ჰაერის მასების შემოჭრა ხდებოდა შავი ზღვის გავლით, დასავლეთიდან.

ნოტიო პოლარული და მეტად ცივი არქტიკული ჰაერის მასების შეხვედრამ განაპირობა ინტენსიური თოვა და მკვეთრი აცივება მთელ აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთ საქართველოს ზოგ რაიონში. ამრიგად, 27 ნოემბრის დამით 15-20 სანტიმეტრი სისქის თოვლის საბურველი თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში იყო.

უახლოესი 2-3 დღის განმავლობაში შედარებით დაბალი ტემპერატურა იქნება მთელ საქართველოში, თოვა კი — უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში.

ვ. კოკლანტაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი,
გ. ლოლაძე,
თბილისის ობსერვატორიის მეტეოროლოგიური განყოფილების გამგე.

სურათზე: პირველი თოვლი თბილისში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ნ. ს. ხრუშჩოვს ეპატიჟებიან

პარიზი, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რამბუიეს კომუნის მუნიციპალურმა საბჭომ ერთსულოვნად გადაწყვიტა მიიწვიოს ნ. ს. ხრუშჩოვი ამ ქალაქში. მიწვევა გაუგზავნეს აგრეთვე ქალაქებმა სენ-ხირმა (სენის და უაზის დეპარტამენტი) და კურსანმა (ოდის დეპარტამენტი).

პარიზის საავადმყოფო ლა სალპეტრიერის მუშაკთა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვს დაესწროს ამ საავადმყოფოს მუშაკთა კრებას პარიზში ყოფნის დროს.

ა. ი. მიქოიანი მეხიკოში დაბრუნდა

მეხიკო, 26 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი მეხიკოს დაბრუნდა მექსიკაში ოთხი დღის მოგზაურობის შემდეგ. იგი ეწვია ქალაქ მონკლოვას, მონტერეის, სიუდადპემეესს და პოსა-რიკას.

დისკუსია გრძელდება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა საერთო დისკუსია კორეის საკითხზე, რომლის მსვლელობაში გამოვიდნენ ბულგარეთის, ალბანეთის, იაპონიის, კოლუმბიის, კუბის, ნეპალის, ვენესუელის, თურქეთის, ინდოეთისა და პოლონეთის წარმომადგენლები.

სოციალისტური ქვეყნების დელეგატებმა განაცხადეს, რომ ისინი ხმას მისცემენ ამერიკის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ, რომელიც ეწინააღმდეგება კორეელი ხალხის ინტერესებს.

კუბის დელეგატმა ბისბე ალბერნიმ განაცხადა, რომ კორეელებმა თვითონ უნდა გადაჭრან თავიანთი პრობლემები.

ინდოეთის დელეგატმა დაიალმა გამოთქვა სინანული, რომ ამ საკითხის განხილვა წარმოებს მაშინ, როცა არ ესწრებიან ჩრდილოეთ კორეის მთავრობის წარმომადგენლები, რომელიც კონტროლს უწევს კორეის მეტ ნაწილს. ინდოეთის დელეგაცია, განაცხადა დაიალმა, მხარს ვერ დაუჭერს 14 სახელმწიფოს რეზოლუციის პროექტს ან რომელიმე სხვა წინადადებას, რომლის მიზანია კორეის საკითხის გადაჭრის გაყინვა.

მორიგი მარცხი

ვაშინგტონი, 27 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის გუშინდელი დღის გაზეთები და დეპეშათა სააგენტოები თავიანთ ცნობებში იმის შესახებ, რომ მარცხით დამთავრდა „ატლას-ეიბლის“ რაკეტული სისტემის გაშვება მთვარისაკენ, ახასიათებენ ამ ცდას როგორც „სამწუხარო წარუმატებლობასა“ და „მძიმე მარცხს“.

ვაშინგტონის გაზეთი „დეილი ნიუსი“ გამოვიდა საერთო სათაურით „მთვარეზე გასროლა კვლავ მარცხით დამთავრდა; ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ეს მეექვსე მარცხია ზედიზედ“.

ამერიკის პრესის დაუფარავი წყენა და სასოწარკვეთილება გუშინდელი მარცხის გამო იმით აიხსნება, რომ მთვარის რაიონში რაკეტის გაშვების მორიგ ცდას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფიქრობდნენ, რომ თანამგზავრის გაშვებით მთვარისაკენ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფდნენ, რომ ამერიკა „არ ჩამორჩა რუსეთს“ საპლანეტთაშორისო სივრცის ათვისებასა და რაკეტულ ტექნიკაში.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ერთერთ ცნობაში ისიც კი არის აღნიშნული, რომ ამერიკელი მეცნიერები ფიქრობდნენ „ეჭვობენ ყოველივე იმისათვის, რაც რუსებმა გააკეთეს“.

მანევრები დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 26 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნის საგაზეთო იუწყება, ამჟამად ვეზელ-ცანტენის რაიონში მიმდინარეობს დიდი მანევრები დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის ნაწილებისა, რომლებიც შეიარაღებული არიან ატომური ზარბაზნებით. მანევრებში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ინგლისის, ამერიკისა და ბელგიის ჯარების ქვანაყოფები.

უპასუხებს მაკმილანი

ლონდონი, 25 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში პარლამენტის წევრმა ლეიბორისტებმა პრემიერ-მინისტრ მაკმილანს შეკითხვები მისცეს საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მაკმილანმა გაკვთა მოკლე განცხადება ადენაუერთან მოლაპარაკების შესახებ და აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკება იყო კონფიდენციალური. მან განაცხადა, რომ განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიც არის მზადება უმაღლესი დონის მომავალი თათბირისათვის, გერმანია და ბერლინი, განიარაღება და პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა დასავლეთ ევროპაში. მათ დაადასტურეს, თქვა პრემიერ-მინისტრმა, რომ „იმ მიზნების შესახებ, რომელთა მიღწევასაც ისინი ცდილობენ“, არ არის რაიმე შეუთანხმებლობა.

ლეიბორისტული ოპოზიციის ლიდერის მოადგილემ ბევენმა ჰკითხა, განიხილეს თუ არა ადენაუერმა და მაკმილანმა ევროპაში განლაგების საკითხი, რომელიც მოხსენიებულია კომუნიკეში, რომელიც გამოქვეყნდა პრემიერ-მინისტრის მოსკოვში მოგზაურობის შემდეგ თებერვალში, და გერმანიის საზღვარი ოდერ-ნოისეს ხაზზე.

მაკმილანმა უპასუხა, რომ ინგლისის პოლიტიკა შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხში ჩამოყალიბებული იყო მისსი ყენევის თათბირზე წარდგენილ წინადადებებში და რომ ეს წინადადებანი შეესაბამებიან მოსკოვის კომუნიკეს, ხოლო ოდერ-ნოისეს ხაზი არ განხილულა.

ლეიბორისტმა ორობმ ჰკითხა, ხომ არ არის განპირობებული საერთაშორისო პრობლემების ყოველი გადაჭრა გერმანიის გაერთიანებით დოქტორ ადენაუერის პირობების საფუძველზეო. მაკმილანმა ეს უარყო.

ლეიბორისტმა სინდეი სილვერმენმა მოითხოვა განეცხადებინა პრემიერ-მინისტრს, რომ მას არ უკისრია ადენაუერის მიმართ რაიმე ისეთი ვალდებულება, რაც ხელს შეუშლის მას განიხილოს ყოველი წინადადება განცალკევების შესახებ მხოლოდ მათი ღირსების საფუძველზე.

პასუხად მაკმილანმა განაცხადა, რომ მთავრობა ყოველთვის განცალკევების წინააღმდეგი იყო. მაგრამ იგი მხარს უჭერს შეზღუდული შეიარაღებისა და ინსპექციის გეოგრაფიული რაიონების დაწესებას.

როცა შინელმა თქვა, რომ ინგლისის მთავრობას უნდა მიეღო ადენაუერისაგან აღთქმა ოდერ-ნოისეს ხაზის საკითხზე, მაკმილანმა უპასუხა, რომ მისი მოლაპარაკება ადენაუერთან წარმოადგენდა მხოლოდ მზადებას უფრო ფართო მოლაპარაკებისათვის დასავლეთის ლიდერებს შორის, რაც ბარიზში გაიმართება.

უპასუხა რა სხვა ლეიბორისტს, რომელიც მოითხოვდა კონკრეტულ აღთქმას იმის შესახებ, რომ ვერაფერი ვერ შეუშლის ხელს ბერლინის საკითხის განხილვას უმაღლესი დონის თათბირზე, მაკმილანმა თქვა, რომ ამ თათბირზე მთავრობა განაგრძობს განხილვას ამ მომენტიდან, რომელზეც დამთავრდა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი.

ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა ლეიბორისტების ლიდერი ჰეიტსკელი, რომელმაც თქვა, რომ რამდენადაც მან იცის, მაკმილანი თავის წლევანდელ საუბრებში ნ. ს. ხრუშჩოვთან დეთანხმა იმას, რომ ბერლინის საკითხი უნდა განიხილონ როგორც დამოუკიდებელი პრობლემა.

მაგრამ მაკმილანმა უპასუხა, ყოველთვის ითვლებოდა, რომ ეს საკითხი გერმანიის პრობლემის ნაწილიაო.

აღფრთოვანებულია ასი ათასი ლონდონელი

ლონდონი, 26 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ლონდონის უდიდეს საკონცერტო დარბაზში ალბერტ-ჰოლში გაიმართა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის დასკვნითი კონცერტი. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. საზოგადოების მოთხოვნით ცალკეული ნომრები ორ-სამჯერ გაიმეორეს.

კონცერტის დამთავრების შემდეგ მსახიობთა კოლექტივს მიართვეს ყვავილები და სამახსოვრო საჩუქრები.

ინგლისელ მაყურებელთა სახელით ანსამბლის მსახიობებს მიესალმნენ ალბერტ-ჰოლის საკონცერტო დარბაზის დირექტორი ჰუპერი და საზოგადოება „დიდი ბრიტანეთი-სსრ კავშირის“ თავმჯდომარე ფიცროი მაკლინი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ მსახიობთა და კულტურის სხვა მოღვაწეთა ვიზიტების გაცვლა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხთა უკეთესი ურთიერთგაგების უზრუნველყოფაში.

სიტყვა ითხოვა ელჩმა ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ილიკო სუხიშვილმა. მან გულითადი მადლობა უძღვნა ინგლისელ მაყურებლებს გულთბილი მიღებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ანსამბლის გამოსვლები ხელს შეუწყობენ კულტურული ურთიერთობის გაფართოებას და მეგობრობის განმტკიცებას საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ხალხებს შორის.

ბოლოს შესრულებულ იქნა ინგლისისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

კონცერტს დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ა. ეუკოვი და სსრ კავშირის ელჩი ინგლისში ი. ა. მალიკი.

ლონდონში ყოფნის დროს ქართველმა მსახიობებმა გამართეს თექვსმეტი კონცერტი, რომლებსაც დაესწრო 100 ათასამდე მაყურებელი. 27 ნოემბერს ტელევიზიით გამოსვლის შემდეგ ანსამბლი საგასტროლოდ გაემგზავრება მანჩესტერსა და გლასგოში.

საბჭოთა კალათბურთელები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამ დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების გასამართავად გაემგზავრა სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები. ეს საბჭოთა კალათბურთელების პირველი ვიზიტია ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ამ თამაშს „№ 1 სპორტს“ უწოდებენ.

სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდის (მწვრთნელები ს. სპანდარიანი, ა. გომელსკი) შემადგენლობაში არიან: ა. ბოჩკარიოვი, მ. ვალდმანისი, გ. ვოლნოვი, ვ. ზუბკოვი, ი. კორნეევი, ი. კრეტინინი, გ. მინაშვილი, ვ. მუიანიტკსი, ა. პეტროვი, მ. სემიონოვი, ვ. ტორბანი, მ. სტუდენეკი.

ქალთა ნაკრებ გუნდში (მწვრთნელები ს. ბუტაუტასი, ჰ. ბარანოვი) არიან: ლ. ალტბერგი, ნ. არციშევსკაია, ი. დაკტარიტე, ნ. ერიომინა, ვ. კოსტიკოვა, რ. კუზნეცოვა, ნ. მაქსიმელიანოვა, ნ. პოზნანსკაია, ნ. სემაშკო, ს. სმილდზინია, გ. იაროშევსკაია.

ნიუ-იორკში საბჭოთა კალათბურთელებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს.

26 ნოემბერს შედგა საბჭოთა კალათბურთელების პირველი გამოსვლა. ბილეთები ამ მატჩზე წინასწარ იყო გაყიდული, დარბაზი ვერ იტევდა ყველა მსურველს.

ამ დღეს სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები გუნდის წინააღმდეგ თამაშობდა ამერიკის შეერთებული შტატების უძლიერესი კლუბი „ფილადელფია“, რომელიც გაძლიერებული იყო სხვადასხვა კლუბების მოთამაშეებით და რომელსაც შეიძლება ეუწოდოთ ამერიკის ნაკრები. ორივე გუნდმა აჩვენა ტემპერამენტი და მაღალტექნიკური თამაში. მატჩის შედეგია 70:59 ამერიკელთა სასარგებლოდ.

არანაკლები ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირის ქალთა ნაკრებისა და კლუბ „უეალენდ კვინზის“ კალათბურთელთა შეხვედრამ. საბჭოთა კალათბურთელებმა ძლიერ მოწინააღმდეგეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 42:40.

სსრ კავშირის ნაკრები გუნდები ამერიკის შეერთებულ შტატებში 10 დეკემბრამდე დარჩებიან და შეხვედრებს გამართავენ სხვადასხვა ქალაქებში.

რუსთაველის „მეტალურგი“ — საქართველოს ჩემპიონი

გაიმართა მორიგი მატჩები ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე. შედეგები ასეთია: თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გუნდი — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:1, „დინამო“ (სოხუმი) — „სპარტაკი“ (ტყვარჩელი) 7 : 1, „კოლმეურნე“ (ბახმარაძე) — „დინამო“ (სოხუმი) 4 : 1.

საქართველოს 1959 წლის ჩემპიონი ფეხბურთში გახდა რუსთავის „მეტალურგის“ გუნდი (მწვრთნელი სპორტის ოსტატი რ. მახარაძე), რომელმაც 34 თამაშიდან 47 ქულა შეაგროვა.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ხელმოწერილია მატჩის რეგლამენტი

26 ნოემბერს მსოფლიო ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა (მოსკოვი) და პრეტენდენტმა ტურნირში გამარჯვებულმა დიდოლტატმა მ. ტალმა (რიგა) ხელი მოაწერეს ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის რეგლამენტს.

მატჩში, რომელიც მოსკოვში გაიმართება 1960 წლის გაზაფხულზე, გათამაშდება 24 პარტია. საკმაოა მ. ბოტვინიკმა შეაგროვოს 12 ქულა, რომ შეინარჩუნოს თავისი წოდება. მ. ტალს გამარჯვების მოსაპოვებლად დასჭირდება 12,5 ან 13 ქულის მოგროვება.

შეჯიბრების პირველი პარტია დანიშნულია 15 მარტს. ყოველ კვირაში მოწინააღმდეგეებმა უნდა ითამაშონ სამი პარტია. სამი დღე კვირაში განკუთვნილია დაუმთავრებელი შეხვედრების გასათამაშებლად, ხოლო ერთი დღე — დასასვენებლად. მოფიქრებისათვის დროის კონტროლი — 40 სვლა 2,5 საათში, ხოლო შემდეგ 16 სვლა ყოველ შემდგომ ერთ საათში.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დავალებით ბოტვინიკ-ტალის მატჩს აწყობს სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია. (საკდესი).

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიპეცკი, 27 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ მოეწყო ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეოთხე და მეხუთე ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

მ. ტოგონიძემ ბრძოლის განუახლებლად დათმო პარტია ა. რუბინჩიკთან, ხოლო ნ. ვოიტაკევიჩ — ო. სემიონოვასთან. ლ. იაკირმა დაამარცხა ო. სემიონოვა, ნ. კოლოტმა — კ. სკეგინა, ლ. ბელავენეცმა — ზ. ნახიმოვსკაია, თ. დმიტრიევა-ლ. იაკორი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ერევნის ნახევარფინალი

ერევანი. 27 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

ვ. ზახარიანმა ბრძოლის განუახლებლად დათმო პარტია ე. გელერთან. ა. ბუსლაევმა მოუგო მ. შიშოვს, ა. გელერმა — ვ. ზახარიანს, ბ. გოლდენოვმა — ე. თათევოსიანს, ე. მნაცაკანიანმა — ი. ნიკოლაევსკის, ა. ყარაჯაევმა — ვ. თათევოსიანს.

საინტერესოდ მიმდინარეობდა გროსმაისტერ ე. გელერისა და ოსტატ ბ. გურგენიძის გადადებული პარტია. როგორც ვიუწყებოდით, ბ. გურგენიძეს მაიკი აკლდა, მაგრამ მან თანდათანობით შ�ლო მდგომარეობის გამოსწორება და შეხვედრა ყაიმით დაამთავრა.

ბ. გურგენიძემ ყაიმით დაამთავრა აგრეთვე მეორე პარტია ე. მნაცაკანიანთან. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ს. ჰალილბეილ-ი. კლოვანის, ბ. გოლდენოვ-ი. ავერბახის, მ. შიშოვ-ვ. ზახარიანის, ვ. ბაგირიოვ-ე. თათევოსიანის, ე. ჩუკაევ-ი. ავერბახისა და ნ. ნიკოლაევსკი-ბ. გოლდენოვის პარტიებში.

რედაქტორი
დ. მაღლიშვილი.

ტელევიზია

19.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“ № 19, 20.10 — კონცერტი „თეირანში მსოფლიო ჩემპიონატზე“, 20.30 — გადაცემა — „ეკრანზე ტორი ა. ანდრიაშვილი“, 21.20 — კინოჟურნალი, 21.30 — უკანასკნელი ცნობები, 21.45 — ახალი ეკონომიკური კომედია „ალო, თქვენ ნომერი შეგემალთ“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.